სპორტი

სპორტული გაზეთი შაბათი 11 ნოემბერი 2006 №262 (2884) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოთი ამაყი კლაუს ტოპმიოლერი სტილს და სტილისტს არ იცვლის

ოთხი დღე ურუგვაიმდე ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის ექსკლუზიური გულახდილობა

მონტევიდეოში საქართველო იციან და არც იციან

ველოდეთ! თქვენ, რაღა პორტუგალია!

დღეს „ეროვნულზე“ ჭეშმარიტად დიდი რაგბია — ქართველი „ლელოები“ ძველ მოშულართ, პორტუგალიელებს ერკინებიან. ბევრი დევს სასწორის პინაზე, მძიმეა მეორე მხარეც, მაგრამ ქართველ მორაგბეებს მრავალგზის გადაუწონავთ ეს სიმძიმე და ეს დღეც, ეს თამაშიც ასეთია — საქართველო თქვენგან ძალას, ხერხს, ღირსებას, თავდადებას და მოგებას ელის!

პორტუგალია მსოფლიო თასის ცხრაკარიან გზაზე ბოლო ჭიშკარია. ეს ჭიშკარიც უნდა შელეწოთ, ბიჭებო, დღეს აქ, მშობლიური ხალხის წინაშე და 25 ნოემბერს ლისაბონშიც, სადაც, ვინ იცის, ბურთიც კი მეტოქის მხარეს იყოს.

წლეულს გაზაფხულზე 40:0 მოუგეთ, მაგრამ ვიცით და იცით, რომ პორტუგალია მგლობას იჩემებს. ჰოდა, ისე უნდა ავკობოთ, ისე უნდა დაალელოვოთ, რომ 25 ნოემბერს ლისაბონში კბენის სურვილი დაეკარგოთ. ერთი ღონიერი ნაბიჯი, ერთი მძლავრი მიწოლა, ბიჭებო, და იქა ხართ, სადაც მხოლოდ რჩეულები ხვდებიან.

გადარ კეთილაძის ფოტო

AS-ი პანია?

ამ ფოტოს, რომელზეც „ბარსელონას“ მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი „მილანის“ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის ხელს ართმევს, შესაძლოა, გაის ივნისსს ამგვარი მინაწერი გაუკეთდეს: „მილანის“ ახალი მწვრთნელი ხელს ართმევს „მილანის“ ყოფილ მწვრთნელს...

ფრანკ რაიკარდის „მილანში“ გადასვლის თაობაზე გუშინ ესპანურ AS-ში დაიწერა, ფაქტების თანხვედრა კი იმგვარია, რომ რაიკარდის მილანში წასვლას რეალობის სუნი უდის.

ფაქტები კი ასეთია: ბოლო ხანს ჰოლანდიელ მწვრთნელსა და „ბარსელონას“ სპორტულ დირექტორ ჩიკი ბეგირისტაინს შორის წყენა ჩამოვარდა. რაიკარდს ველარც თანამემამულე იოჰან კრუიფთან აქვს დალაგებული ურთიერთობა, არადა, კრუიფი ის კაცია, ვისაც „ბარსაში“ დღემდე აღმერთებენ.

ერთი ფაქტიც: ბოლო ხანს რონალდინიოს „მილანში“ გადასვლაზეც ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, რაც ამ გუნდებს შორის მოლაპარაკების პროცესის არსებობაზე მიგვანიშნებს.

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ არ დაახანა და რაიკარდის და რონალდინიოს ტრანსფერები გუშინვე შორს დაიჭირა, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამგვარი უარყოფები ხშირ შემთხვევაში რაღაც დროის მერე დადასტურებად იქცევა ხოლმე.

ისე კი, რაიკარდი და ანჩელოტი თავის დროზე „მილანში“ თანაგუნდელები იყვნენ.

საგაისო წარწერა ძველ ფოტოზე: რაიკარდმა ანჩელოტი შეცვალა

გურამ დოლიძე/ბელის ფოტო

რევაზ არველაძე, ნოდარ ახალკაცი, კლაუს ტოპმიოლერი და გოგი ქავთარაძე

კლაუს ტოპმიოლერი: არ მინდა, ჩემი დაწყებული საქმე მალე დამთავრდეს

საქართველო — ურუგვაი: 15 ნოემბერს კლაუს ტოპმიოლერის ნაკრები საცდელ პოლიგონზე გავა. ერთი რომ, წლის ბოლო მატჩი აქვს ეროვნულ გუნდს და მეორეც, ტოპმიოლერი რამდენიმე ახალწვეულს ათამაშებს... გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ჰერ კლაუსმა, ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და ვიცე-პრეზიდენტებმა — რევაზ არველაძემ, გოგი ქავთარაძემ და გრიგოლ ცაავამ პრესკონფერენცია გამართეს. საუბარი მარტო საურუგვაიო მზადებაზე არ ყოფილა, საინტერესო სხვაც ბევრი ითქვა...

კლაუს ტოპმიოლერი: საქართველოს ნაკრები უკვე მიეჩვია ძლიერ გუნდებთან თამაშს. ურუგვაი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია და ამჟამად რეიტინგში მე-17 ადგილზეა. გარდა ამისა, მათ შემადგენლობას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რა ძალის ნაკრებია — მათი ფეხბურთელები ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების კლუბებში თამაშობენ. ბოლო ამხანაგურ მატჩში ურუგვაიმ 4:0 მოუგო ვენესუელას, რომელთანაც ადგილობრივ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელები ჰყავდა, ჩვენთან კი გაცილებით ძლიერი კონტინგენტით ჩამოდის...

...სამწუხაროდ, მიზეზთა გამო ჩვენ კვლავაც შესუსტებული შემადგენლობით ვითამაშებთ, მაგრამ ეს ტესტ-მატჩია. ახალ ფეხბურთელებს ვნახავ საქმეში, მათ შორის ლადო ბურდულს და დავით სირაძეს...

...გუშინ ნაკრებს კიდევ ოთხი ფეხბურთელი დავამატეთ — შოთა კაშია, შოთა გრიგალაშვილი და სანდრო კობახიძე „დინამოდან“ და გოგი ფიფია „ზესტაფონიდან“. გამორიცხული არ არის, შაბათ-კვირას კიდევ ორი მოთამაშე ავიყვანოთ ქართული კლუბებიდან — გაჩნია, როგორ ითამაშებენ სათასო მატჩებში. პოზიტიური მომენტია, როცა ეროვნული ნაკრებისთვის, ასე ვთქვათ, სარეზერვო ფეხბურთელების გამოცდის საშუალება გვეძლევა...

...საერთოდ, ყველა კლუბი ცდილობს, დროულად არ გამოუშვას ფეხბურთელი, მაგრამ თუ რომელიმე მათგანს პრობლემებს შეუქმნიან, ფიფას რეგლამენტის მიხედვით მოვიქცევთ — ის კლუბები 15-დან 20 ნოემბრამდე ამ მოთამაშეებს ვერ გამოიყენებენ. გულდასაწყვეტია, რომ ნაკრებს მხოლოდ ორი დღე აქვს მოსამზადებლად, მაგრამ ამას ვერ შევცვლით...

...რაც შეეხება გერმანია-იტალიასთან მატჩებს, სამწუხაროდ, ფეხბურთელთა დანაკლისმა იჩინა თავი. ორიე შეხვედრაში ჩემი გუნდის თამაშს დადებითად ვაფასებ და საქართველოს ნაკრები გერმანიაშიც ძალიან მოეწონათ. პირველ ტაიმში მეტოქეს არაფერი დავუთმეთ, პლუს ნაღდი გოლიც არ ჩაგვითვალეს. არადა, გერმანელებმა მანამდე შეედეთს ამხანაგური მატჩი იოლად მოუგეს, ჩვენთან თამაშიდან სამი დღის შემდეგ კი სტუმრად სლოვაკებს სძლიეს ასევე დამაჯერებლად.

...იტალიასთან გაცილებით შესუსტებული შემადგენლობა გვყავდა, ვიდრე გერმანიასთან, მაგრამ გუნდით კმაყოფილი დავრჩი. ათი კაცით რომ არ დავრჩენილიყავით, დარწმუნებული ვარ, სხვა შედეგი იქნებოდა. ნათლად ვხედავ, რომ სწორ გზაზე ვდგავართ. მარტში შოტლანდიასთან უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გვექნება და იმედია, ტრავმირებული მალხაზ ასათიანისა და გაძევებული ჯაბა კანკავას გარდა არავინ დაგვაკლდება.

— ურუგვაის ნაკრებზე მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია გაქვთ?

— რთულად შესასწავლი მეტოქეა. მუნდიალამდე ურუგვაიმ ინგლისთან და სერბეთთან გამართა ტესტ-მატჩები — ინგლისთან ბოლო წუთებამდე იგებდა და წააგო, სერბეთთან კი ფრე ითამაშა. ურუგვაელებს ინდივიდუალურად ძალიან ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ, თუნდაც დიეგო ფორლანი — იგი ესპანური პრიმერადივიზიონის გასული ტურის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ამ გუნდს თუ გაქანების საშუალება მიეცი, კარგი არაფერი მოგელის.

— მალხაზ ასათიანს ისეთი ტრავმა აქვს, რომ 24 მარტამდე გამოჯანმრთელება გამორიცხულია?

— აღდგენით პროცესზე ძალიან ბევრია დამოკიდებული, სერიოზული სამუშაოა ტრენაჟორებზე. დღევანდელი დღით თუ ვიმსჯელებთ, ასათიანის გამოჯანმრთელების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს. ეს ისეთი ტრავმაა, რომლის გამო ბევრ ფეხბურთელს, მათ შორის მეც, კარიერა დაუსრულებია. ლოთარ მათეუსს კი მსგავსი ტრავმის გამო 5 თვე გაუცდა. მოხარული ვიქნები, თუ მალხაზი ზაფხულამდე ფორმაში ჩადგება. მას გერმანიასთან რომ ეთამაშა, დარწმუნებული ვარ, იქაურ კლუბებს ძალიან მოაწონებდა თავს. ასათიანი დიდი ძალაა ნაკრებისთვის.

— შოთა არველაძე ურუგვაისთან არ ითამაშებს...

— შოთა განსაკუთრებული შემთხვევაა. ის ჩვენი ნაკრების ქვაკუთხედია, ამ შესარჩევში უკვე ოთხი გოლი გაიტანა. არველაძე მალე 34 წლის გახდება და აქედანვე უნდა დავიწყოთ მისი შემცვლელის ძებნა — ადრე თუ გვიან, შოთა კარიერას დაასრულებს და მზად უნდა ვიყოთ. ვიცი, არველაძეს მუხლების პრობლემა აწუხებს, „ალკმაარსაც“ დატვირთული კალენდარი აქვს, 33 წლის ფეხბურთელისთვის კი ყველა მატჩის სრულფასოვნად ჩატარება ძნელია. მოხარულნი ვიქნებით, თუ შოთა ოფიციალურ მატჩებში მაინც შეძლებს საქართველოს ნაკრების დახმარებას. წლების მერე არველაძისნაირი სიტუაცია შეიძლება, კობიაშვილსა და კალაძეს ჰქონდეთ...

— ჯაბა კანკავამ ძალიან განიცადა, იტალიასთან რომ გააძევეს. მას შემდეგ ხომ არ გისაუბრიათ მასთან, რათა ფსიქოლოგიურად არ დათრგუნულიყო?

— ჯაბას გაძევება უსამართლობა იყო. აშკარად ჩანდა, რომ პირლომ პროვოცირება მოახდინა — ასჯერ მაინც ვნახეთ ფირი და ნათლად ჩანს, რომ კანკავა არცკი შეხებია პირლოს. სამწუხაროდ, ეს იმ მომენტში მოხდა, როცა თამაშს ვაკონტროლებდით. საერთოდ, გრანდებთან მატჩებში სწორედ კანკავას, მარცვალაძის თუ ღვინიანიძის დარი ახალგაზრდა ფეხბურთელები სწავლობენ ყველაზე მეტს. შეიძლება, ვინმემ ჯაბა გაკიცხოს — იტალიასთან გააძევეს, უკრაინასთან მესამე გოლი მისი შეცდომით გავუშვითო — მაგრამ მე მას ნაკრების წამყვან ფეხბურთელად ვთვლი, ვიცი მისი შესაძლებლობები. ჩემს ხელში კანკავას პირველი სერიოზული მატჩი ალბანეთში ჰქონდა, სადაც ისე ცუდად ითამაშა, რომ შესვენებაზე გამოვცვალე, მაგრამ მას შემდეგ აშკარად მოუმატა...

აქ საუბარში რევაზ არველაძე ჩაერთო და ტოპმიოლერის საინტერესო სამწვრთნელო შტრიხზე თქვა — მას შეუძლია, ფეხბურთელს შეცდომა მალე დაავიწყოს, ამას თავისი პიროვნული თვისებებით ახერხებსო.

შემდეგ კი კლაუს ტოპმიოლერმა ასეთ კითხვას უპასუხა — ახლავე რომ შემოგთავაზონ საქართველოს ნაკრებთან კონტრაქტის 2 წლით გახანგრძლივება, დათანხმდებით? ტოპის აზრს ამ საკითხზე გუშინდელ „სარბიელშიც“ წაიკითხავდით, თუმცა პრესკონფერენციაზე ნათქვამსაც გთავაზობთ:

— ჯერ ის ვთქვათ, რომ ევროშესარჩევ ციკლში ჯერაც საბრძოლველი გვაქვს. როდესაც აქ ჩამოვდიოდი, ცალკეული ძლიერი ფეხბურთელები მეგულებოდა, მაგრამ ჯადოა თუ რა ხდება, ყველა საუკეთესო ერთად ვერ გავიყვანე მინდორზე. დღესაც თამამად ვამბობ, ოპტიმალური შემადგენლობით ნებისმიერ მეტოქესთან ტოლ-სწორად ბრძოლა შეგვიძლია...

...საერთოდ, მე იშვიათად ვიცვლი პარიკმახერს, იშვიათად, ნაცნობ მაღაზიას გვერდი ავუარო. მოკლედ, ადგილის ხშირად ცვლა არ მჩვევია. არც ვმალავ, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა მეამაყება — ვხედავ, როგორ მუშაობს ფედერაცია და რამდენს აკეთებს ქვეყანაში ფეხბურთის განსავითარებლად. არ მინდა, ჩემი დაწყებული საქმე მალე დამთავრდეს. მე მაქვს მოქმედი კონტრაქტი 2007 წლის 31 დეკემბრამდე და როდესაც ვინმე მიკავშირდება და წინადადებას მთავაზობს, ასეც ვეუბნები — კონტრაქტი მაქვს-მეთქი და საუბარს აღარ ვაგრძელებ...

ვფიქრობ, კითხვას გასაგებად ვუპასუხე. ჩვენს სამომავლო გეგმებზე ისიც მეტყველებს, რომ 12 ნოემბერს ქართული კლუბების ხელმძღვანელებს და მწვრთნელებს ვხვდები. მათთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება მსურს.

ჩვენი მხრივ გეტყვით, რომ ეს შეხვედრა სანაკრებო პაზაზე ჩატარდება. რის შემდეგაც პრესკონფერენცია გაიმართება. ამასთან, ტოპმ 19-წლამდელთა ნაკრების კარგ შედეგზეც გაამახვილა ყურადღება, ჩრდილოეთ ირლანდიისა და ბელგიის ნაკრებები ჩავტოვეთ ჯგუფში, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბელგიელთა ძლევა, მათი 19-წლამდელები 5 წელია, ერთად მოდიან და ქვეყნის ხვალინდელ სახეს ეახლიანო. ჰერ კლაუსმა ისიც გვითხრა, 19-წლამდელთა რამდენიმე ფეხბურთელი 6 თებერვალს თურქეთთან 21-წლამდელთა ნაკრებში ითამაშებსო.

პრესკონფერენციაზე სხვა საკითხებზეც იყო საუბარი, მათ შორის საქართველო — ურუგვაის მატჩზე დასასწრებ ბილეთებზეც:

გოგი ქავთარაძე: ბილეთების გაყიდვა ხვალ რიყეზე 11 საათზე დაიწყება და იმედია, ეს პროცესი ისევე ნორმალურად ჩაივლის, როგორც იტალიასთან იყო. მატჩი 21 საათზე დაიწყება. მართალია, ცივა, მაგრამ გთხოვთ, ქომაგებს მოუწოდოთ, სტადიონზე მოსვლას ნუ დაიზარებენ — თბილისში სამხრეთამერიკული ნაკრები პირველად ჩამოდის, თანაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.

...ხვალ ბათუმში 16 საათზე ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფანკლუბის ფილიალი გაიხსნება...

...13 ნოემბერს, 13 საათზე „მიხეილ მესხის“ სტადიონზე ტურისტული სააგენტო „GFF-TRAVEL“-ის პრეზენტაცია შედგება...

...13-შივე, ექვსის ნახევარზე ფანკლუბის იმ წევრებს, რომლებსაც წევრობის პლასტიკური ბარათი აქვთ, შეუძლიათ, ეროვნული გუნდის ფეხბურთელებს და მწვრთნელებს შეხვდნენ. ეს ყველაფერი ნაკრების ვარჯიშებამდე ნახევარი საათით ადრე, 18 საათზე კი ვარჯიში დაიწყება, რომელიც ღია იქნება. 14 ნოემბრის ვარჯიში კი დახურულია.

ილია ნანობაშვილი

გერმანია

ბუნდესლიგა. XII ტური
ვერდერი 4:0 დორტმუნდი
II ბუნდესლიგა. XII ტური
ჰანზა 4:0 ბრაუნშვაიგი
კოგლენცი 1:1 კარლსრუე
მიუნხენი 1:0 პადერბორნი
მათე ღვინიანიძემ სრულად ითამაშა
რეგიონალლიგა. XVI ტური
აალენი 1:1 როიტლინგენი

ავსტრია

I დივიზიონი. XVI ტური
აუსტრია (ლ) 2:4 გრატკორნი
ჰარტბერგი 1:2 ადმირა
კერნტენი 1:1 ლუსტენაუ
ლეობენი 4:0 აუსტრია (მ)
პარნდორფი 0:1 ლინცერი
შვანენშტადტი 1:0 კაპფენბერგი

იტალია

სერია B. XI ტური
ტრევიზო 1:0 რიმინი

საფრანგეთი

I დივიზიონი. XIII ტური
ლიონი 2:1 ვალანსიენი
II დივიზიონი. XVI ტური
შატორუ 0:1 მონპელიე
კრეტეი 1:1 დიჟონი
გრენობლი 5:1 რეიმსი
გენიონი 0:1 კაენი
გენგამი 2:3 ამიენი
ისტრი 1:1 ბრესტი
სტრასბური 2:1 ლიგურნი
ტურსი 1:0 ნიორი
აიაჩო 0:1 ბასტია

ბელგია

იუპილერლიგა. XII ტური
ვესტერლო 0:1 გენკი

ჰოლანდია

ერედივიზიონი. XII ტური
ბრედა 1:1 ჰერენვენი
II დივიზიონი. XVI ტური
აპელდორნი 2:0 მაასტრიხტი
გრაააფსხაპი 3:1 ჰელმონდი
ემენი 2:2 ვოლენდამი
დორდრეხტი 2:0 ვენლო
ალმერე 3:1 ვეენდამი
იგლსი 5:0 ოსი
როზენდალი 2:0 სიტარდი
ტელსტარი 2:1 ზვოლე

თურქეთი

სუპერლიგა. XIII ტური
დენიზლი 0:0 ფენერბაჰჩე

პოლონეთი

I ლიგა. XIV ტური
ლეჩნა 1:0 კრაკოვია
ლეგია 2:0 ოდრა
პოგონი 1:1 გროცლინი
ვიძევი 0:2 ზაგლებე
პლოცკი 1:3 გურნიკი
ლეხი 1:1 არკა

ირლანდია

პრემიერლიგა. XXIX ტური
კორკი 1:0 შელბურნი
ბოჰემიანსი 1:1 ბრეი
სენტ პატრიკსი 0:1 დერი
დუბლინი 3:1 ლონგფორდი

სლოვენია

I ლიგა. XVIII ტური
დომჟალე 1:1 დრავა

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XIII ტური
უიპეშტი 2:0 ტატაბანია

სლოვაკეთი

I ლიგა. XX ტური
სენეცი — ინტერი გადაიდო

ინგლისი

ასოციაციის თასი. I ეტაპი
ჩელტენჰემი 0:0 სკანთორპი

ოსკარ ტაბარესი: ვიცი ცოტა, მაგრამ მთავარი: თქვენ ჩვენებურები ხართ

საქართველოს ნაკრებს გამარჯვებათა ეპოქა ჯერ რომ არ დასდგომია, ფაქტია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მწვრთნელად კლაუს ტოპმიოლერის მოსვლის შემდეგ ჩვენი მთავარი გუნდის და მასთან ერთად ჩვენი ცხოვრება შეიცვალა: ნაკრები უფრო ბრძოლისუნარიანი გახდა, დაიხვეწა ტაქტიკური სურათი, გაჩნდნენ სერიოზული სპარინგ-პარტნიორები... მაისში მსოფლიოს ჩემპიონატზე მიმავალი პარაგვაი დაგვეჭიდა, ამასწინათ, არც მეტი, არც ნაკლები, გერმანიაში მოვსინჯეთ ძალა, ჩვენი ახალი „მეგობარი" კი ურუგვაია და თვალში ნურავის ეპატარავება, თავის დროზე ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონი გამხდარა. დღევანდელი „სარბიელის" სტუმარი კი ურუგვაელთა მწვრთნელი

ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესია.

კაცი, რომელიც მრავალი გუნდის და მათ შორის „მილანის" სათავეში მდგარა. ვინ მოჰყავს ტაბარესს საქართველოში და ვინ არა, ამას და კიდევ ბევრ სხვას ინტერვიუდან შეიტყობთ — ურუგვაელები სერიოზული შემადგენლობით მოდიან. ისე, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, მაშინ, როდესაც ურუგვაის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი ხდებოდა, მავანმა ჟურნალისტმა ქართველ ფეხბურთელებს, ალბათ უფრო სათამაშო მანერის გამო, „დიდი ურუგვაელები" შეარქვა, ასე რომ... ოსკარ ტაბარესს გუშინ მონტევიდეოში შევეხმიანეთ...



— თბილისში უძლიერესი შემადგენლობა მოგყავთ?

— დიახ, საქართველოსთან სათამაშოდ საუკეთესო ფეხბურთელები გამოვიძახეთ, თუმცა რამდენიმეს მცირე ტრავმა აქვს და გამორიცხული არ არის, წამოსვლამდე ერთი-ორი ახალი ფეხბურთელი დავიმატოთ.

— საქართველოსთან თამაშის იდეა საიდან გაჩნდა?

— ზაფხულში ჩრდილოამერიკული ტურნე გვქონდა. იქ სამი მატჩი ვითამაშეთ და სწორედ მაშინ, როცა მომავალ მეტოქეებზე ვფიქრობდით, გადავწყვიტეთ, ევროპაშიც გვეთამაშა. გამოჩნდა საქართველოს ვარიანტი და უარი არ გვითქვამს. ვფიქრობ, ღირსეული მეტოქე გვყავს და კარგი მატჩი უნდა გამოვიდეს.

— რისთვის გამოიყენებს ურუგვაი ამ შეხვედრას?

— ჩვენი ძალების შესაფასებლად. გაისად ზაფხულში „კოპა ამერიკა" იწყება და უკვე რა ხანია, ამ ტურნირისთვის ვემზადებით. ურუგვაის მიზანი, რა თქმა უნდა, ჩემპიონატის მოგებაა, ძველი მიღწევები უნდა გავიმეოროთ. ვიცი, საქართველოს ნაკრები ჩვენსავით ტექნიკურ და შემტევ ფეხბურთს თამაშობს. სამხრეთ ამერიკაშიც ხომ სწორედ ასე თამაშობენ და ამიტომაც მგონია, რომ ორივე გუნდისთვის ძალიან სასარგებლო მატჩი გამოვა. ჩვენ მეტოქედ საქართველოს ნაკრები შემოხვევით არ აგვირჩევია.

— საქართველოზე ზოგადად რა იცით? თქვენთვის მომქანცველი არ იქნება სამხრეთ ამერიკიდან აქ ჩამოსვლა?

— ერთმანეთისგან ძალიან შორს კი ვართ, მაგრამ ეგ არაფერი, მატჩამდე ორი დღით ადრე ჩამოვალთ და ძალების აღდგენას ბოლომდე მოვასწრებთ. თუმცა მგზავრობა ჩვენთვის დიდი პრობლემა მაინც არ იქნება, თითქმის ყველა ფეხბურთელი, რომელიც ამ შეხვედრისთვის გამოვიძახეთ, ევროპაში თამაშობს. საქართველოზე კი ბევრი არაფერი ვიცი, მხოლოდ ის, რომ თქვენთან ფეხბურთი ყველაზე პოპულარული სპორტია. ვიცი ისიც, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე ძლიერი იყო, ხოლო იმ ჩემპიონატში ქართული გუნდი ლიდერად ითვლებოდა.

— თბილისის „დინამო" არ გსმენიათ?

— დიახ, თბილისის „დინამოზე" ვამბობ, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ლიდერებს შორის იყო.

— ქართველ ფეხბურთელებს იცნობთ?

— გამიგია, მაგრამ, სამწუხაროდ, გვარებს ვერ ვიხსენებ. ურუგვაის მსგავსად ბევრი ქართველი ფეხბურთელი ევროპაში თამაშობს — კალაძე ხომ „მილანის" ფეხბურთელია...

— თქვენ ადრე სწორედ „მილანის" მწვრთნელი იყავით. შეგიძლიათ, გვითხრათ, ოსკარ ტაბარესს სამხრეთამერიკული ფეხბურთი უჩანს თუ ევროპული?

— ვერ გიპასუხებთ, გამიჭირდება ამის თქმა. დღეს ფეხბურთი უნივერსალურია, ნელ-ნელა სამხრეთ ამერიკაშიც იგრძნობა ევროპული ფეხბურთის გავლენა და პირიქითაც, ევროპაში ხომ უამრავი სამხრეთამერიკელი ფეხბურთელია. თავადაც ვცდილობ, ჩემმა გუნდმა ევროპულადაც ითამაშოს და სამხრეთულადაც. ისე კი, ურუგვაელი ვარ და, ბუნებრივია, ჩემს გონებაში სამხრეთამერიკული უფრო მეტია, ვიდრე ევროპული. „მილანში" მუშაობის დროს ვცდილობდი, გუნდს ლამაზი ფეხბურთი ეთამაშა, თუმცა ასეთი გუნდის შექმნა არ მადროვეს.

— ნაწყენი ხართ „მილანის" ხელმძღვანელობაზე?

— არა, ეს დიდი ხნის წინ იყო. „მილანში" მუშაობის პერიოდი აღარც მახსოვდა, თქვენ რომ არ გეხსენებინათ.

— ბოლო დროს ურუგვაის ნაკრები ისე ვეღარ ბრწყინავს, როგორც ადრე. მიზეზი რა არის, როდის დაიბრუნებს თქვენი გუნდი ძველ დიდებას?

— ჩვენი მთავარი პრობლემა ისაა, რომ ძალიან ბევრი ფეხბურთელი სხვადასხვა ქვეყანაში თამაშობს და ნაკრები ასეთი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. იძულებული ვარ, რომ სწორედ ისინი გამოვიძახო, რადგანაც ადგილობრივებთან შედარებით მაღალი დონისანი არიან. ურუგვაის ჩემპიონატში ვარსკლავი აღარ ჩერდება, თვალი ყველას ევროპისკენ უჭირავს. აქედან გამომდინარე, გუნდის შეთამაშება ძალიან ძნელია. როცა ფეხბურთელები გაფანტულები არიან, მათ ერთმანეთის კარგად აღარ ესმით, გადატვირთული ევროპული კალენდრის გამო კი ფეხბურთელების შეკრებას ხშირად ვერ ვახერხებთ. თანაც ურუგვაი ბრაზილიაზე და არგენტინაზე პატარა ქვეყანაა და არც იმდენი ტალანტია, რამდენიც სხვაგან.

— ერთსაც გკითხავთ: მიგაჩნიათ, რომ ალვარო რეკობა დღეს საუკეთესო ურუგვაელი ფეხბურთელია?

— დიახ, ასეა. ის ძალიან ძლიერი ფეხბურთელია და მისი დონისა ურუგვაიში არავინაა. ენცო ფრანჩესკოლის შემდეგ ურუგვაის ასეთი ფეხბურთელი არ ჰყოლია.

ლადო ხომერიკი
კობა ინასარიძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური განცხადება

ერთიანი ბილეთი

15 ნოემბერს საქართველოსა და ურუგვაის ეროვნული გუნდების ამხანაგურ შეხვედრაზე დასასწრებ ბილეთებთან დაკავშირებით ძვირფასო გულშემატკივრებო!

მატჩი გაიმართება 15 ნოემბერს 21 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა დაიწყება 2006 წლის 11 ნოემბერს, 11 საათზე რიყეზე და დამთავრდება 15 ნოემბერს 17 საათზე.

სალაროები იმუშავებს 11-დან 17 საათამდე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება მხოლოდ რიყეზე.

ბილეთების ფასებია: 7,15, 40 ლარი.

აბონემენტის მფლობელთათვის მატჩზე დასწრება უფასო არ არის და მათთვის გამოყოფილი იქნება ცალკე სალარო.

სალაროებზე მითითებული იქნება, სად რომელი სექტორის ბილეთი იყიდება.

თითოეულ გულშემატკივარს შეეძლება მაქსიმუმ 10 ბილეთის შეძენა.

მატჩზე უბილეთოდ ბავშვები არ დაიშვებიან.

მანქანები მხოლოდ საგანგებო საშვებით დაიშვებიან სტადიონის ტერიტორიაზე.

მატჩის დღეს, 15 ნოემბერს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ყველა ჭიშკარი და შიდა კარი გაიხსნება მატჩის დაწყებამდე სამი საათით ადრე, 18 საათზე.

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

საკუნძულო ლიტვა თავის თავს არ ჰგავს

15 ნოემბერი სანაკრებო დღეა და საქართველოს ნაკრების გარდა ამ დღეს ჩვენი მეტოქე ლიტვაც თამაშობს — ბალტიისპირელები მალტას სტუმრობენ.

ალგიმანტას ლიუბინსკასს კუნძულზე გადახალისებული შემადგენლობა მიჰყავს — ჟიდრუნას კარჩემარსკასის და დეივიდას შემბერასის თაობაზე მოსკოვის „დინამო" და ცეესკა ლიტვის ფეხბურთის ფედერაციას შეუთანხმდნენ და თავისთან დაიტოვეს, რობერტას პოშკუსი ტრავმირებულია, სატურნელმა ედგარას ჩესნაუსკისმა კი ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა მანამ, სანამ მწვრთნელი ლიუბინსკასი იქნება.

ლიტვა მალტასთან სათამაშოდ ამ შემადგენლობით მიემგზავრება:

მეკარეები: მინდაუგას მალინაუსკასი (კუნასი), პაულიუს გრიბაუსკასი (ეკრანასი);

მცველები: მარიუს სტანკიავიჩიუსი (ბრეშა, იტალია), ანდრიუს სკერლა (ტომი, რუსეთი), როლანდას ჯიაუკშტასი (სატურნი, რუსეთი), გედიმინას პაულაუსკასი (ეკრანასი), ირმანტას ზელმიკასი (ტავრია, უკრაინა), დარიუს ჟუტაუტასი (ატლანტასი);

ნახევარმცველები: დეივიდას ჩესნაუსკისი (ჰართსი, შოტლანდია), შაულიუს მიკოლიუნასი (ჰართსი, შოტლანდია), ნერიუს ბარასა (ჰართსი, შოტლანდია), დარიუს მიცეიკა (მეტალურგი, ლატვია), მინდაუგას კალონასი (მეტალურგი, ლატვია), აიდას პრეკშაიტისი (ვეტრა), ანდრიუს გედგაუდასი (ატლანტასი), ვიტალიუს კავალიაუსკასი (ეკრანასი), ლინას პილიბაიტისი (კუნასი), იგორ მორინი (ჟალგირისი);

თავდამსხმელები: ტომას დანილიავიჩიუსი (ლივორნო, იტალია), ედგარას იანკაუსკასი (ჰართსი, შოტლანდია), ტომას რაძინიავიჩიუსი (კლადნო, ჩეხეთი), რიჩარდას ბენიუშისი (კუნასი).

აქვე ვთქვათ, რომ ევროშესარჩევ ჯგუფში საქართველო ლიტვას გაიზად, 2 ივნისს სტუმრად ეთამაშება.

ძახა შალამბერიძე

ედგარას ჩესნაუსკისმა ნაკრებს ზურგი აქცია

შაბათს, 11 ნოემბერს, ბათუმში გაიმართება საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბის ფილიალის დაარსების ცერემონიალი.

სფფ-ის პრესსამსახური



ვინ ვინ არის

კლაუს ტოპმიოლერმა საურუგვაიო სიას ოთხი ისეთი ფეხბურთელი დაამატა, ეროვნულ ნაკრებში არასდროს რომ არ უთამაშიათ. ვინ ვინ არის? რა თვისებებით დაიმსახურეს მათ ჰერ კლაუსის ყურადღება?

შოთა კაშია (22.10.1984)

ის თბილისის „დინამოს“ კაპიტანია და ეს ცოტას არ ნიშნავს. კაშიამ „დინამოში“ პირველად ივო შუშაკის მწვრთნელობისას ითამაშა, ხოლო 2004 წელს „დინამომ“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპს რომ უწია, იმ გუნდის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოთამაშე იყო.

კაშია ცენტრალური მცველი იყო, ახლანდელ „დინამოში“ კი მარჯვნივ თამაშობს. მენისკის და ჯვარედინა იოგების ოპერაციის გამო მას წელიწადნახევარი გაუცდა, მაგრამ ასეთი პაუზის შემდეგ ისე ათამაშდა, რომ ტოპმიოლერს თავი ნაკრებში გამოაძახებინა.

შოთა გრიგალაშვილი (21.06.1986)

რალფ მინგემ ის რამდენჯერმე მიიწვია ახალგაზრდულ ნაკრებში და მასში ისეთი თვისებები დაინახა, რომ ტოპმიოლერთან გაუწია რეკომენდაცია.

„დინამოში“ უთამაშებელი გრიგალაშვილი ტოპმიოლერმა ეროვნულ ნაკრებში პირველად 7 და 11 ოქტომბერს გერმანიასთან და იტალიასთან მატჩებისთვის მიიწვია, რითაც „დინამოს“ ჩეხი დამრიგებელი დუშან უჰრინი დიდად გააკვირვა.

დაახლოებით თვენახევრიანი პაუზის შემდეგ უჰრინმა გრიგალაშვილი ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში დააბრუნა ძირითად შემადგენლობაში.

გრიგალაშვილი მოძრავი, სწრაფი და ჟინიანი შუახაზელია.

ალექსანდრე კობახიძე (02.11.1987)

დღესდღეობით სატრანსფეროდ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფეხბურთელია საქართველოს ჩემპიონატში.

წინა სეზონში პროფლიგის მიერ ჩატარებული გამოკითხვით კობახიძე წლის აღმოჩენად დაასახელეს.

„დინამომდე“ კობახიძე „თბილისში“ თამაშობდა და „თბილისის“ ბაზაზე შექმნილი რუსთავის „ოლიმპი“ ამ ფეხბურთელის დაბრუნებითაა დაინტერესებული.

კობახიძეს „დინამოში“ კახა ცხადაძის მწვრთნელობისას მივიდა. ძალიან ძლიერი და მოქნილი ცაცია აქვს, ზედმიწევნით შემტევი ტიპის მარცხენაფლანგელია, ფიზიკურ ორთაბრძოლებშიც ძნელად დასაჯაბნია.

გოგი ფიფია (02.04.1985)

ტექნიკა და დრიბლინგი — ფიფია ამ საქმის ოსტატია. მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში კი გოლებსაც უხშირა და ხუთი გოლით ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

ფიფიას გერმანული „წარსულიც“ აქვს — „კაიზერსლაუტერნის“ იუნიორთა გუნდის წევრი იყო. შემდეგ „თბილისში“ თამაშობდა და საკმაოდ კარგადაც იყო ახალგაზრდული ნაკრების წევრიც. ერთი სიტყვით, ამ ეტაპზე მისი ეროვნულ გუნდში გამოძახება მოულოდნელობა არ ყოფილა.

დავით თავგართქილაძე

პრობლემა კამერუნია

სიონი მიდის, მაგრამ ვერ შეჰყავს

ბოლნისის „სიონის“ მოსკოვში „თანამეგობრობის თასზე“ გამგზავრება ჯერ კიდევ საეჭვოა, თუმცა ქვემოქართლელებს იმედი აქვთ, რომ ტურნირს არ დააკლდებიან.

„მოსკოვში წასვლა ფინანსებთან არის დაკავშირებული. ამის გამო ბოლნისის გამგებელს ტურნირზე გამგზავრებისთვის საჭირო სრული ხარჯთაღრიცხვა უკვე წარვუდგინეთ. გამგეობა „მადნეულთან“ ერთად კლუბის თანამეპატრონეა და სწორედ ისინი გადაწყვეტენ ყველაფერს. მთავარი საფიქრალი კი რუსული მხარეა — მათგან ველით უსაფრთხოების გარანტიას. ისე კი, ყველაფრის მიუხედავად, წასვლის იმედს არ ვკარგავთ. ძალიან გვინდა, ამ ტურნირზე საქართველო ღირსეულად წარმოვაჩინოთ. თუმცა გარკვეული პრობლემები გვაქვს — რამდენიმე ფეხბურთელს კონტრაქტი უმთავრდება, სავიზო პრობლემები ექმნებათ კამერუნელ ლეგიონერებს. შესაძლოა, მათ ნაკლად რამდენიმე ფეხბურთელი ვინათხოვოთ. ეს ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა“ — გვითხრა „სიონის“ გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა.

სანამ „სიონი“ წასვლა-არწასვლას გადაწყვეტს, რუსებმა უკვე კალენდარიც გაამზადეს: 20 იანვარს „სიონი“ „კაუნასს“ შეხვდება, 21-ში მტტუ-ს, ხოლო 23-ში ოფკ-ს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

უეფა მსაჯებს: მეტი სიმკაცრე!

მსაჯობა საქართველოში ყოველთვის აქტუალური თემა იყო ხა, მით უმეტეს, ბოლოხანს. ჰოდა, საინტერესო უნდა იყოს უეფას ახალი მოთხოვნები, რომლებიც ამ ორგანიზაციის მსაჯთა კომიტეტის ბოლო სხდომაზე მიიღეს — უეფამ მსაჯებისგან მოითხოვა, მკაცრად აღკვეთონ მათთან კამათის ყველანაირი მცდელობა.

ნიონში მსაჯთა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად, უეფამ არბიტრებისგან მოითხოვა, დაუყოვნებლივ გააფრთხილონ ფეხბურთელები შემდეგ შემთხვევებში:

1. როდესაც ფეხბურთელი მსაჯისგან მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელისთვის ბარათის ჩვენებას მოითხოვს.
2. ჟესტით თუ ნებისმიერი სხვა ხერხით მსაჯის შეურაცხყოფისთვის ან მსაჯთან მივარდნისთვის.
3. მსაჯის ირგვლივ ჯგუფური შემოკრებისას ყვითელი ბარათი ინციდენტის წამომწყების გარდა მიეცეს, სულ მცირე, კიდევ ერთ ფეხბურთელს.

იქვე უეფა აცხადებს, რომ არ დაუშვებს მსაჯებზე ზეწოლისა და შეურაცხყოფის ფაქტებს და იმუქრება, რომ მსგავსი ქმედებებისთვის გამოყენებული იქნება უმკაცრესი სანქციები.

ოთარ მხეიძე

დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

ჯგუფური ეტაპი. მეოთხე ტური

www.pfl.ge

ყვითლები ცვივა და ყვითლები გადიან

დღეს თასის ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურია და ყველაზე დიდ ინტერესს საჩხერული შეხვედრა იწვევს, სადაც ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი რუსთავის „ოლიმპი“ სტუმრობს. რუსთაველებს მხოლოდ მოგება აძლევთ ხელს, მაგრამ დისკვალიფიცირებული გოჩა ხოჯავას, თორნიკე აფციაურისა და გიორგი კახელიშვილის არყოფნაში ეს ძალიან გაუჭირდებათ. „ჩიხურა“ კი ფრეზეც არ იტყვის უარს...

საინტერესო შეხვედრას ველით ბორჯომშიც, სადაც ქუთაისის „ტორპედო“ ჩადის. ამ შეხვედრაში „ბორჯომი“ არავის მოისაკლისებს, ქუთათურებს კი დისკვალიფიცირებული ზვიად ჩხეტიანი არ ეყოლებათ.

პირველ წრეში განიავებული ქულების აღმოსაფხვრელად დიდი ბრძოლების გადატანა მოუწევს „ვიტ ჯორჯიას“. ვეტერინარები ამას „მესხეთთან“ დღესვე ეცდებიან, მით უმეტეს, აქამდე დისკვალიფიცირებული ჰაატა დათუნაიშვილი დაუბრუნდებათ, „მესხეთი“ კი გიორგი ბერიანიძესა და დიმიტრი ლეკიშვილს მოისაკლისებს.

A ჯგუფში ერთი მეოთხედფინალისტის ვინაობა პრაქტიკულად ცნობილია — „ამერი“ „სპარტაკს“ „სტუმრობს“ და იმის მიუხედავად, რომ დისკვალიფიკაციის გამო ხუთი ფეხბურთელი არ ეყოლება, მოგება არ უნდა გაუჭირდეს.

თელავში კი „ზესტაფონის“ მოგებას უნდა ველოდოთ. ფეროელები ჩემპიონატში კარგად გამოიყურებიან, „კახეთი“ კი ორიოდ დღის წინ სულაც უმწვრთნელოდ დარჩა.

ითქმის ყველაფერი გარკვეულია D ჯგუფში — „ბათუმი“ და „სიონი“ მეოთხედფინალში ხელჩაკიდებულნი გავლენ. „ბათუმი“ „მერანს“ მასპინძლობს და დისკვალიფიკაციამოხდილ ამირან მუჯირით გაძლიერებულს მოგება არ უნდა გაუჭირდეს. „სიონი“ კი „მეშაქრესთან“ გეგმავს სამ ქულას...

მიხეილ ჟორჟოლიანი

A ჯგუფი

თბილისი. 11 ნოემბერი. 14 საათი. ამერი

სპარტაკი თბილისი — **ამერი** თბილისი

მსაჯები: ო. ხეცაძე; ა. გუნთაძე, გ. ჩიგოგიძე; ლ. ფანიაშვილი

თელავი. 11 ნოემბერი. 14 საათი. გივი ჩოხელი

კახეთი თელავი — **ზესტაფონი**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ბ. ჭიჭინაძე, დ. სანოძე; ლ. სილაგავა

B ჯგუფი

ახალციხე. 11 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური

მესხეთი ახალციხე — **ვიტ ჯორჯია** თბილისი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ხ. გაგნიძე, მ. ურუშაძე; ჯ. ბუიშვილი

ბორჯომი. 11 ნოემბერი. 14 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

ბორჯომი — **ტორპედო** ქუთაისი

მსაჯები: მ. მაისურაძე; ლ. მიქელაძე, შ. ქუხილავა; ვ. ელისაბედაშვილი

C ჯგუფი

თბილისი. 11 ნოემბერი. 14 საათი. ნორჩი დინამოელი

ნორჩი დინამოელი თბილისი — **დინამო** თბილისი

მსაჯები: ვ. გუმბერიძე; ი. ურუშაძე, მ. ელიკაშვილი; გ. ვადაჭკორია

საჩხერე. 11 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური

ჩიხურა საჩხერე — **ოლიმპი** რუსთავი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; გ. დოგრაშვილი, ზ. ხუციშვილი; გ. კიკაჩეიშვილი

D ჯგუფი

ბოლნისი. 11 ნოემბერი. 14 საათი. თამაზ სტეფანია

მეშაძრე აგარა — **სიონი** ბოლნისი

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; თ. ხუჭუა, ზ. ჯვარიძე; დ. სანაია

ბათუმი. 11 ნოემბერი. 14 საათი. დინამო

ბათუმი — **მერანი** თბილისი

მსაჯები: კ. ჭაჭუა; კ. ბერაძე, მ. ნაკაიძე; პ. დოგრაშვილი

A ჯგუფი

ამერი	3	2	1	0	6:1	7
ზესტაფონი	3	1	1	1	5:2	4
კახეთი	3	1	1	1	4:6	4
სპარტაკი	3	0	1	2	0:6	1

B ჯგუფი

ტორპედო	3	2	1	0	5:1	7
ბორჯომი	3	1	1	1	2:4	4
მესხეთი	3	0	2	1	0:1	2
ვიტ ჯორჯია	3	0	2	1	0:1	2

C ჯგუფი

ჩიხურა	3	2	1	0	4:0	7
დინამო	3	2	0	1	7:3	6
ოლიმპი	3	1	1	1	3:3	4
ნ. დინამოელი	3	0	0	3	1:9	0

D ჯგუფი

ბათუმი	3	2	1	0	7:1	7
სიონი	3	2	1	0	5:2	7
მერანი	3	1	0	2	3:6	3
მეშაქრე	3	0	0	3	0:6	0

საერთაშორისო ჟურნალისტიკიდან საერთაშორისო ფეხბურთში

კაცს, რომელსაც ახსოვს ტკივილი, ახსოვს: ნუ ატკენ სხვას!

დავით მუჯირი — ფეხბურთელი, რომელსაც, იყო დრო, ბევრი ეროვნული ნაკრებისთვის უინტერესო მოთამაშედ მიიჩნევდა, მაგრამ დღეს მის გარეშე კლაუს ტოპმიოლერის გუნდი ძნელი წარმოსადგენია. რუსულ „სპორტ-ექსპრესში“ გამოქვეყნდა „მუმუსთან“ საინტერესო ინტერვიუ, რომელსაც აქვე გთავაზობთ...

— ხუთი წელი იყავით „შტურმში“. ქართველი ავსტრიაში — ეს უკვე საინტერესო სიუჟეტია...

— მანამდე ორი წელი მოლდოვის „შერიფში“ ვიყავი. რაშიდ რახიმოვი მამაჩემს კარგად იცნობს და ავსტრიაში გადასვლაში ის დამეხმარა. „შტურმი“ იმ დროს კიდევ მძლავრობდა, ჩემპიონთა ლიგაშიც თამაშობდა, ასე რომ, დაუყოვნებლივ გავაფორმე ხუთწლიანი კონტრაქტი.

...საერთოდ, ენებს იოლად ვითვისებ. თბილისში საკმაოდ პრესტიჟულ, საერთაშორისო ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ახლა უკვე სამი ენა ვიცი — რუსული, გერმანული და ინგლისური. ავსტრიაში ბევრი ყოფილი იუგოსლავიელი თამაშობდა და მათი წყალობით სერბულ-ხორვატულიც კი ავითვისე. კრილიელ მარკო ტოპჩიჩაც მის ენაზე ვესაუბრები — მარკომ ლამის ყველა ევროპული ენა იცის. აი, ავსტრიაში კი ბევრი ისეთი ფეხბურთელი იყო, ოთხი წელი იქ თამაშობდნენ და იმდენი სიტყვაც არ იცოდნენ, რესტორანში „კოკა-კოლა“ შეეკვეთათ... თუნდაც ჩვენი ბაბა ადამუ — ოთხი წელია, რუსეთში თამაშობს, მაგრამ ენა არ იცის და ვერავის ელაპარაკება.

— მოკლედ, ევროპაში ნაღდად არ დაიკარგებით...

— ასეა. ვენა ალბათ ულამაზესი ქალაქია მსოფლიოში. როცა მეუღლესთან ერთად პირველად გავისეირნე ქალაქში, ის აღფრთოვანებული დარჩა. სეირნობა ჩვენი ჰობია — არდადეგების დაწყება და ჩვენი მოგზაურობა ერთია. ახალ წელს ყოველთვის თბილისში ვხვდებით, მაგრამ ერთხელ პარიზში წასვლა გადაწყვიტეთ. ჩემმა საუკეთესო მეგობარმა ლევან კობიაშვილმა ელისეს მინდვრებზე გამართულ ფანტასტიკურ შოუზე აგვიღო ბილეთები. სხვათა შორის, მეზობელ მაგიდასთან სამუელ ეტოო იჯდა...

— თქვენი შვილები ქართულად გერმანული აქცენტით ლაპარაკობენ?

— ფეხბურთელის ბედი ასეთია, არც საკუთარ თავს ეკუთვნის და არც ოჯახს. ტირასპოლში სულაც მარტო ვცხოვრობდი, მეუღლე კი პატარა ბავშვთან ერთად თბილისში იყო და მეორე ბავშვს ელოდა. ავსტრიაში უკვე კომფორტულად ვიყავი, მაგრამ იქაურ მენტალიტეტთან შეგუება გამიჭირდა. ავსტრიელები ვერ ხვდებოდნენ, რატომ ვუგზავნიდი ნათესავებს ფულს თბილისში. ზოგჯერ თვეებიც წაებმებოდა, ჩემი ნახევარი ხელფასი თბილისში მიდიოდა. ავსტრიელებს ვერ გააგებინებ, რომ ჩვენთან მიღებულია უმუშევარი ახლობლების დახმარება, ან ავადმყოფი ბებიასთვის წამლების გაგზავნა.

— გრაცი მყუდრო ქალაქია...

— სამაგიეროდ, რა ლამაზია! სამი წლის წინ გრაცი ევროპული კულტურის დედაქალაქად აღიარეს. ავსტრიელებს სიგიჟემდე უყვართ სისუფთავე. კვირას ვერავის დაურეკავ — ყველა სახლშია და ტელეფონი გამორთული აქვს. ქუჩაში რომ გახვიდე, ერთადერთი ფეხით მოარული იქნები. ოთხნახევარი წელი ავსტრიაში მარტო არ ვყოფილვარ — ხან რომელი მეგობარი ჩამოდიოდა, ხან რომელი... იქ პატარა საქართველო შევქმენი...

— ავსტრიაში ვარსკვლავი იყავით?

— ცნობილი ადამიანი ვიყავი, გრაცში პენსიონერებიც კი მცნობდნენ. ჩემთვის იმაზე მთავარი არაფერია, როცა ხალხი გაფასებს, პატივს გცემს, უყვარხარ... სამარაში გადმოსვლა გავრისკე, რადგან აქ ფეხბურთელ მუჯირს არავინ იცნობდა. 4 მარტს ჩამოვედი, 5-ში კი თასის მატჩი ვითამაშე. თოვდა და ვერავის ვცნობდი სახეზე...

— „კრილიას“ ფეხბურთელებს გვარებითაც არ იცნობდით?

— ტოპჩიჩს ვიცნობდი, „ვოლფსბურგთან“ თამაშის მერე სერბმა თანაგუნდელებმა რესტორანში გამაცნეს. ტელევიზორიდან ვიცოდი გუსინი, ბუტი... რა თქმა უნდა, თეთრაძეს ვიცნობდი. ჰო, ამას წინათ „ზენიტი“ — „კრილია“ ავსტრიელმა არბიტრმა კონრად პლაუცმა იმსაჯა, თავის დროზე კი „შტურმმა“ ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციაში შეიტანა თხოვნა, რომ მას ჩვენს მატჩებში არ ემსაჯა, რადგან რამდენჯერმე მართლაც ცუდად მოგვექცა. აი, რუსეთში კი პლაუცი ძველი მეგობარივით შემხვდა და ავსტრიაში დაბრუნება მირჩია.

— ავსტრიიდან წამოსვლისას გული არ გწყდებოდათ?

— ძალიან გამძიმელდა, მაგრამ რა მექნა, კონტრაქტი დამიმთავრდა, „შტურმი“ კი გაკოტრების პირას იყო...

— მეგობრები ალბათ გეუბნებოდნენ, რომ რუსეთში თქვენი დონის ფეხბურთელები ათჯერ მეტ ხელფასს იღებენ...

— ეს ისედაც ვიცოდი, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ ჩემპიონატია ძლიერი. რამდენიმე წლის წინ მეგაკონტრაქტი შემომთავაზეს ტოკიოდან, მაგრამ ჩემ თავს ვუთხარი — „დავით, ჯერ 26 წლის ხარ, რატომ ასამარებ კარიერას?“ ფაქტობრივად, სანაკრებო კარიერაც უნდა დამესრულებინა, ასე გამოდიოდა...

— რაშიდ რახიმოვს ფანებმა ბარათი აჩუქეს წარწერით — „აუსტრიის“ ლეგენდა“...

— მეც მჩუქნიდნენ მსგავს რაღაცას, მაგრამ ვერ მოასწრეს. უცებ მომიხდა გრაციდან წამოსვლა და მეგობარს გამოატანეს. ფაიფურის ლარნაკი მომიტანეს წარწერით, „გულშემატკივართა საყვარელი ფეხბურთელი ბოლო წლებში“.

— ყველა ქართველს, ვინც უცხოეთში მიდის, მშობლიური მიწა მიაქვს?

— ბევრი მართლაც ასეა. მე არ წამიღია, მაგრამ განა ვინმე იტყვის, რომ სამშობლო არ მიყვარს?! თუ გინდათ, ჩემს უახლოეს მეგობარს, ლევან კობიაშვილს ჰკითხეთ... მის ქორწილში ვიყავი, მისი ბავშვის ნათლია ვარ — ძმებივით ვართ. სიჭაბუკიდანვე სამნი ვმეგობრობდით — მე, კობი და კახა კალაძე. ახლა კობიაშვილი სამარაში სტუმრობას მპირდება. „დინამოში“ თამაშისას „ლევერკუზენს“ ვხვდებოდით და ლევანი ფრაიბურგიდან ჩამოვიდა მატჩზე. მკვდარი საათისას გამაღვიძა, დავით, დღეს გოლს გაიტან და ჩემკენ გამოიქცევიო. კარგი-მეთქი, ვუპასუხე. საჯარიმო გავიტანე და კობის დავუწყე თვალებით ძებნა.

— კობიაშვილს დიდი ქორწილი ჰქონდა?

— საქართველოში დიდი ქორწილები ვიცით. ორი დღე ვიმხიარულეთ — ბევრი არ დაგვილევია, მაგრამ კარგად კი გავერთეთ...

— არ სვამთ?

— ალკოჰოლს ცხოვრებაში არ გავკარებივარ! ღვინის გასინჯვაც კი არ ვიცი, რომ გავიგო, კარგია თუ ცუდი. მეგობრები მეუბნებიან, ჩამოდი, დოქიდან უნდა დაგალევინოთო. საიდუმლოს გეტყვით — ღვინო არასოდეს დამილევია. სამარაში მითხრეს, თამაშის მერე ერთი ჭიქა გადაჰკარი, უკეთ დაიძინებო. ერთხელ ვცადე და საერთოდ ვერ დავიძინე.

— კალაძესთან ისევ მეგობრობთ?

— აბა, როგორ?! აი, ერთი ისტორიაც: კიეველები კახას რომ ელაპარაკებოდნენ მათთან გადასვლაზე, ტელეფონს ზოგჯერ მე ვიღებდი და კალაძის ნაცვლად ვლაპარაკობდი. ყველა დეტალში გარკვეული ვიყავი, რას სთავაზობდნენ კახას და ასე შემდეგ.

— ალბათ უყურებთ ბავშვობის მეგობარს და ბოლომდე ვერ ხვდებით, რაშია მისი დიდებული კარიერის საიდუმლო...

— ვერც ვიფიქრებდი, ასეთ დონეს თუ მიაღწევდა. როდესაც „დინამოში“ ერთად ვიყავით, კახა მხოლოდ ოცნებობდა მსგავს კარიერაზე. ყველა ადამიანის ცხოვრებაშია წამი, რომელიც მის ბედს წყვეტს — ბევრნი ამ წამს ხელიდან უშვებენ. მაგალითად, მე 1998 წელს „იუვენტუსი“ მიწვევდა, მაგრამ „დინამომ“ არ გამიშვა. იმ დროს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი ვიყავი, ჩემს პოზიციაზე კი „იუვეში“ ზიდანი თამაშობდა. იტალიელებმა პირდაპირ თქვეს, მუჯირი მეორე გუნდისთვის გვინდაო. ეს გრძელი ისტორიაა, დიდად არ დაგაინტერესებთ: ვინ იცის, „იუვეს“ მეორე გუნდიდან პირველში გადავსულიყავი, მაგრამ... ასეთ შემთხვევაში ცოლს ვერ მოვიყვანდი. ახლა კი ბედნიერი ადამიანი ვარ...

...19 წლისას ევროთასებზე უკვე 5 გოლი მქონდა გატანილი. „ლევერკუზენს“ 1:0 რომ მოვუგეთ, „იუვენტუსის“ მერე „ბორდო“ და სწორედ „ლევერკუზენი“ მეპატიჟებოდნენ, მაგრამ სერიოზულად არ მიმიღია მათი წინადადებები. „იუვედან“ მითხრეს, პირველ გუნდში თუ მოხვდები, კარგი ხელფასიც გეძლება, თუ არა და, სერია B-ში მოგაწყობთო. მერე კი ყველაფერი ჩაიშალა...

— კალაძე ამბობდა, მილანს თავიდან ვერ შევეგუე, ზედმეტად ინდუსტრიული ქალაქიაო...

— მე პირიქით, მომეწონა, თუმცა, როდესაც კახა აეროპორტში მხვდება, ეგრევე გამორჩეულ ადგილებში მივყავარ. მან რესტორანიც გახსნა მილანში.

— თქვენ არ გინდათ რესტორნის გახსნა?

— მინდა და ვფიქრობ, სად გავხსნა. ყველა ქართველს თბილისი იზიდავს, კალაძეც ამბობს, თბილისში ვიცხოვრებო, თუმცა მას კიევიც ძალიან უყვარს.

— საქართველოში თქვენი თაობის უპირველეს ტალანტად ვინ ითვლებოდა?

— ჩემთვის ასეთი ქინქლაძეა. მართალია, ჩემზე უფროსია, მაგრამ მაინც. ვარჯიშებზე გასაოცარ რამეებს აკეთებდა. კანტონას მერე ინგლისის პრემიერლიგის საუკეთესო უცხოელად ითვლებოდა, მისი „მანჩესტერ სიტი“ კი მაინც გავარდა... ბევრისთვის კი ნომერი პირველი ყიფიანია. მან მეც ბევრი რამ მასწავლა...

— „იუვესთან“ რომ კონტრაქტი ვერ გააფორმეთ, დღესაც გულნატკენი ხართ?

— ძალიან. „დინამოში“ ჩემზე არავინ ფიქრობდა, მაგრამ საქართველოსთვის ხომ ჩემი „იუვეში“ გადასვლა საუკუნის ტრანსფერად ჩითვლებოდა?! რატომღაც არარეალური ეგონათ... როდესაც „დინამომ“ უარი მითხრა, კონფლიქტი მომივიდა და ვარჯიშებიდან გამათავისუფლეს. ბედად, „დინამოში“ იყო ფეზმომზადების მწვრთნელი, რომელიც ჩუმად მეხმარებოდა, ტრენაჟორების დარბაზში ვიკეტებოდით და მავარჯიშებდა. ის კაცი ჩემი გულისთვის დილის 8 საათზე მოდიოდა ბაზაზე, მაგრამ მთავარმა მწვრთნელმა ეს საიდანღაც გაიგო და ერთხელაც, დილით რომ მოვედით, დარბაზის ყველა საკეტი გამოცვლილი დაგვხვდა. არ ვიტყვი ამ მწვრთნელის სახელს — ის წარსულში ცნობილი ფეხბურთელი იყო.

— „დინამოდანაც“ ამიტომ წამოხვედით?

— დიახ. არც მათამაშებდნენ და არც მიშვებდნენ. მხოლოდ ფეხბურთის უზომო სიყვარულმა შემაჩერა, თორემ კარიერას კარგულებდი. როგორია, გუშინ „იუვე“ გეძახდა, დღეს კი უგუნდოდ ხარ და არავის სჭირდები! საშინელი ექვსი თვე გადავიტანე და მოლდოვის გარდა, სხვაგან გადასვლის ვარიანტი არც დამრჩა.

— თქვენ ერთადერთი ბავშვი იყავით ოჯახში?

— ორი და მყავს. მამა ჩემ ფეხბურთელობაზე ოცნებობდა, დედა კი ამბობდა, ყველა ნიჭიერი ვერ ახერხებს წარმატების მიღწევასო. მერე კი დედას თავად დავყავდი გარჯიშებზე. მამა ფეხბურთელი იყო და პროფესიული თვალით მაფასებდა, დედა კი სხვანაირად უყურებდა ჩემს თამაშს — როგორც არ უნდა მეთამაშა, მისთვის საუკეთესო ვიყავი. ამ ზაფხულს ცხოვრებაში ყველაზე დიდი ტრაგედია შემემთხვა — დედა დავასაფლავე. მასავით არავინ მქომაგობდა... ორი თვე ავადმყოფობდა. დედის დაღუპვის დღეს საქართველოს ნაკრები ფარერებს ხვდებოდა. მატჩამდე 2 საათით ადრე გარდაიცვალა, მაგრამ მამამ არ მითხრა. თამაშის მერე გავიგე, მთელი ევროპა გადავლახე, კუნძულებიდან კოპენჰაგენამდე მივაღწიე, დილით გამოვფრინდი და საღამოს თბილისში ვიყავი...

— მამათქვენი „დინამოს“ „ოქროს თაობის“ ფეხბურთელი იყო...

— ბავშვობიდან ვიცოდი, რომ მამის ავტოგოლი საქართველოში სალაპარაკო თემა იყო. „ჰამბურგთან“ სტუმრად 1:0 იგებდნენ, როცა ბურთი საკუთარ კარში ჩაეგზრა. ახლა ავტოგოლებს რა გამოლევს, მაგრამ მაშინდელ ფეხბურთში ეს იშვიათობა იყო. ამასწინათაც გამახსენეს მამის ავტოგოლი და ასე ვუპასუხე: „კიდევ კარგი, კოლუმბიაში არ ვცხოვრობთ, თორემ ერთადერთი ბავშვი ვიქნებოდი ოჯახში და ისიც ობოლი...“ ერთხელ ვარჯიშზე მეც გავიტანე საკუთარ კარში და ყიფიანი მეხუმრა, თავდასხმაში უნდა გადაგიყვანოო. ორიოდ თვის წინ კი საფრანგეთის ნაკრებთან მალხაზ ასათიანს აეგზრა ბურთი საკუთარ კარში და ასე დავამშვიდე — შენი ავტოგოლი მაინც ვერ იქნება ისეთი ლეგენდარული, როგორიც მამაჩემის-მეთქი.

— იმ თამაშის ვიდეოფირი ოჯახური რელიქვიაა?

— მამას აქვს. საქართველოში 1981 წლის 13 მაისის თასების თასის ფინალია რელიქვია. უნდა გენახათ, იმ გამარჯვების 25 წლისთავი როგორ აღინიშნა.

— მაგრამ მამას ხომ არ უთამაშია იმ ფინალში...

— „ვესტ ჰემთან“ მეოთხედფინალში დაშავდა. საერთოდ, მან ტრავმების გამო ნაადრევად, 27 წლისამ დაასრულა კარიერა. იმ დროს მენისკის გამო ნახევარი წელიწადი უცდებოდათ...

ჩელსიმ ოლდ ტრეფორდს გრემ პოლი გამოაცალა

სადაა ძველინგლისური ჯენტლმენობა, ბიჭები უნამუსოდ იქცევიან



გრემ პოლი

ერთი რამ ნამდვილია: ცნობილი ინგლისელი მსაჯი გრემ პოლი, რომლის გამოც ბოლოხანს ინგლისურ პრესაში იწერება და იწერება ნაირნაირი სტატიები, 26 ნოემბერს „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ჩელსის" თამაშს არ გაუძღვება. მიზეზი გასაგებია, პოლმა წინა ტურში, „ტოტენჰემ ჰოთსპურისა" და „ჩელსის" შეხვედრაში, რომელიც „ტოტენჰემმა" 2:1 მოიგო, „ჩელსის" კაპიტანი ჯონ ტერი გაუძევა მოედნიდან და დიდიე დროგბას გოლი არ ჩაუთვალა. როგორც „ლურჯები" ამბობენ, მსაჯის ორივე გადაწყვეტილება მცდარი იყო და საერთოდაც, პოლმა თამაშის დასაწყისში მათ განუცხადა, რომ ერთი კარგი გაკვეთილის ღირსები არიან. ასე და ამგვარად, გრემ პოლი, რომელსაც მიმდინარე სეზონში უკვე 66 ყვითელი და 17 წითელი ბარათი აქვს აღმართული, 26 ნოემბრის ზემოხსენებულ თამაშს ვერ იმასჯუბს, თუმცა ამ ტურში „მანჩესტერ სიტისა" და „ნიუკასლის" მატჩზეა დანიშნული და ამ შეხვედრას მთელი ინგლისი „სქაი სპორტის" პირდაპირი ეთერით ნახავს.

პრემიერლიგის შეფებმა ამასთან დაკავშირებით ბრაზიანადაც კი განაცხადეს, მწვრთნელებმა (უპირველეს ყოვლისა, ალბათ, „ჩელსის" თავკაცი ჟოზე მაურინიუ იგულისხმებოდა) თავიანთი საქმე აკეთონ, ჩვენ მათ მსაჯების მატჩებზე განაწილებაში ჩარევის ნებას არ მივცემთო.

ცნობისთვის: გასულ სეზონში „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერისა" და „ჩელსის" შეხვედრა სწორედ გრემ პოლმა იმსაჯა და რომ არა წინა ტურის ინციდენტი, ალბათ ამჯერადაც იგივე მოუწევდა.

პრემიერლიგაში მსაჯობასთან დაკავშირებული თემა კი ახლო წარსულში „მანჩესტერ იუნაიტედის" დიდი კაპიტნის, ახლა „სანდერლენდის" მწვრთნელის როი კინის ერთი ინტერვიუდან ციტატებით განვაგრძოთ.

„მიხარია, პრემიერლიგის ფეხბურთელი რომ აღარ ვარ, თორემ გავგიჟდებოდი. უკლებლივ ყოველ ტურში ვხედავ, როგორ ეცემიან ბიჭები, მათ შორის ისინიც, რომელთაც ვიცნობდი და რომლებთან ერთად ბურთი მიგორება, სრულიად ტყუილად, ისე, გეგონება, თოფი ესროლესო. ისინი თეატრალურად იგონებენ ტრავმებს და თუ ვინმეს ჩემი არ სჯერა, ნებისმიერი ტურის ცენტრალურ მატჩს ადევნოს თვალი. ჩემს კარიერაში ხშირად მიუხეშია, მაგრამ მსაჯის მოტყუება არასდროს მიცდია".

პაპუნა კედია

ხელი ხელს. სმიტი კარდიფს

„მანჩესტერ იუნაიტედმა" „კარდიფ სიტის" თხოვნაზე თანხმობა განაცხადა — ალან სმიტს მიაქირავებს. მოკლედ, გუნდებმა ხელი ხელს დაჰკრეს, თუმცა საკუთრივ ფეხბურთელის პასუხი ჯერ ცნობილი არ არის.

სმიტი პრობლემის წინაშეა, თებერვალში, „ლივერპულთან" შეხვედრისას კოჭი იტკინა და რომ გამოჯანმრთელდა, მანჩესტერელთა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვეღარ იპოვა.

პრობლემის წინაშეა „კარდიფ სიტიც" (რომელსაც 1976 წელს თასების მფლობელთა თასზე თბილისის „დინამომ" ორი მატჩის ჯამში 3:1 მოუგო). უელსის ჩემპიონატის ლიდერს მთავარი თავდამსხმელი სტივ ტომპსონი დაუშავდა და ნოემბრის ბოლომდე არ ეყოლება. ამიტომაც ცდილობენ კარდიფელები შემადგენლობის გაძლიერებას.

იოლი მისახვედრია, რომ სმიტის ქირაობა „კარდიფ სიტის" თავმჯდომარის, პიტერ რიდსდეილის იდეაა. რიდსდეილი რამდენიმე წლის წინ „ლიდს იუნაიტედის" თავმჯდომარე გახლდათ და სმიტსაც იქიდან იცნობს.

პაპუნა კედია

XII ტური	
დღეს	
ჩელსი	უოტფორდი
ევერტონი	ასტონ ვილა
სიტი	ნიუკასლი
მიდლსბრო	ვესტ ჰემი
პორტსმუთი	ფულემი
შეფილდი	ბოლტონი
უიგანი	ჩარლტონი
ბლეკბერნი	მანჩესტერი
ხვალ	
რედინგი	ტოტენჰემი
არსენალი	ლივერპული

ინგლისი

შურისძიება

მანჩესტერი ბლეკბერნს შარშანდელს ვერ ჰპატიობს



იენს ლემანი იუბილარია: გუშინ 37 წლის გახდა

სეზონი „არსენალმაც" მძიმედ დაიწყო და „ლივერპულმაც". ლიდერებს ორივე გვარიანად ჩამორჩება, მაგრამ ტურის ცენტრალური მატჩი ნამდვილად „ემერატ სტედიუმზე" მათ შორის გასამართი დაპირისპირებაა.

წინა ტურში „არსენალმა" დაძაბულ ბრძოლაში წააგო ლონდონური დერბი „ვესტ ჰემთან", სწორედ იმ კლუბთან, ვისთანაც 1 თებერვალს შინ დამარცხდა და მას მერე „მეფოთეებს" პრემიერლიგის საშინაო შეხვედრა არ წაუგიათ. „ლივერპულს" კი მიჯრით ხუთი მოგება აქვს, პრემიერლიგისა და ლიგის თასის თამაშების ჩათვლით.

„არსენალი" ტრავმირებული ფრედი ლიუნგბერგის, ჟულიო ბაპტისტას, აბუ დიაბისა და ლორენის გარეშე ითამაშებს. „ლივერპულს" კი მოჰამედ სისოკო არ ეყოლება. „მეთოფეთა" მეკარე იენს ლემანს გუშინ 37 წელი შეუსრულდა და კვირას შეეცდება, ეს კარის მშრალად შენახვით აღნიშნოს. მერსისაიდელთა აყლაყუდა ფორვარდ პეტერ კრაუჩისთვის კი „არსენალთან" შეხვედრა მეორასე იქნება პრემიერლიგაში.

„ძნელი სათქმელია, რატომ ვთამაშობთ ამ სეზონში სტუმრად ძალიან ცუდად. მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედთან" „ოლდ ტრეფორდზე" ბევრად მეტი მომენტი უნდა შეგვექმნა და რაც შევქმენით, უნდა გამოგვეყენებინა. ცუდად არ ვთამაშობთ, მაგრამ თითოეული ეპიზოდიდან მაქსიმალურად სარგებლობაა საჭირო" — თქვა „ლივერპულის" მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა.

პრემიერლიგის ერთპიროვნულ ლიდერად ქცეული „მანჩესტერი" „ბლეკბერნს" სტუმრობს, ვისთანაც წინა სეზონში ორივე მატჩი წააგო. მარკ ჰიუზის გუნდი ამჯერადაც მრისხანე მეტოქის წაქცევას აპირებს, ხოლო „წითელ ეშმაკებს" შურისძიება და პირველი ადგილის შენარჩუნება სურთ.

„ტოტენჰემთან" წაგების შემდეგ „ჩელსი" მაჩანჩალა „უტფორდს" მასპინძლობს და, ცხადია, ჟოზე მაურინიუს სამი ქულის გარდა არაფრის გაგონება არ სურს.

„ცოტა გადაღლილები ვართ, მაგრამ ეს მალე გამოსწორდება. ვიცით, რომ ამ სეზონში სერიოზული ბრძოლა მოგვიწევს, რადგან „მანჩესტერი" მშვენიერ ფორმაშია და ჩემპიონობისთვის „არსენალიც" იბრძოლებს" — აღნიშნა მაურინიუმ.

„ნიუკასლი" ბოლოსწინა ადგილზეა და ცხრილის ფსკერზე მყოფ „ჩარლტონს" მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებს. დღეს „კაჭკაჭები" „მანჩესტერ სიტის" სტუმრობენ და თუ წააგეს, შესაძლოა, გუნდის მთავარი მწვრთნელი გლენ რიოდერი ჰოსტს დაემშვიდობოს. საინტერესოა, რომ წინა სეზონში „სიტიმ" „ჯორდებს" 3:0 მოუგო და სწორედ ამას მოჰყვა გრემ სუნესის გაღაადგომა, რომელიც რიოდერმა შეცვალა.

კოკი კანდელაკი

№		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1	მანჩესტერი				3:0	0:1			2:0	5:1	1:0									2:0		11	9	1	1	26:5	28	5	0	1	13:2	15	4	1	0	13:3	13
2	ჩელსი				2:1		1:1		1:0						3:0						2:1	11	8	1	2	18:7	25	4	1	0	9:3	13	4	0	2	9:4	12
3	ბოლტონი	0:4							2:0		2:0	0:1					0:0	1:0				11	6	2	3	10:9	20	3	1	2	5:5	10	3	1	1	5:4	10
4	პორტსმუთი			0:1								1:0	3:1	3:0		2:0						11	6	1	4	16:9	19	4	0	1	9:2	12	2	1	3	7:7	7
5	არსენალი						1:1	1:1									1:1	3:0	3:0			10	5	3	2	16:6	18	2	3	0	9:3	9	3	0	2	7:3	9
6	ასტონ ვილა									1:1	1:1		2:1	2:0						2:0	2:0	11	4	6	1	14:9	18	4	2	0	10:3	14	0	4	1	4:6	4
7	ევერტონი								3:0			2:2			1:1			2:1	2:0			11	4	5	2	16:10	17	3	2	0	10:4	11	1	3	2	6:6	6
8	ლივერპული						3:1				3:0		2:0	1:1		2:1				2:0		11	5	2	4	14:12	17	5	1	0	13:3	16	0	1	4	1:9	1
9	ფულემი		0:2	1:1				1:0				0:1							1:0		2:1	11	4	4	3	12:15	16	3	1	2	5:5	10	1	3	1	7:10	6
10	ტოტენჰემი		2:1		2:1			0:2		0:0						1:0			2:0			11	4	3	4	8:11	15	4	1	1	7:4	13	0	2	3	1:7	2
11	უიგანი	1:3											1:0		4:0			1:1				10	4	2	4	13:11	14	2	1	1	7:4	7	2	1	3	6:7	7
12	რედინგი	1:1	0:1			0:4									1:0		3:2					11	4	1	6	10:17	13	2	1	2	5:8	7	2	0	4	5:9	6
13	ბლეკბერნი		0:2	0:1				1:1				2:1			4:2							11	3	3	5	10:15	12	2	1	2	7:7	7	1	2	3	3:8	5
14	სიტი				0:0	1:0										2:0	1:0		0:0			11	3	3	5	7:14	12	3	2	0	4:0	11	0	1	5	3:14	1
15	ვესტ ჰემი					1:0	1:1						0:1	2:1						0:2	3:1	11	3	2	6	9:14	11	3	1	2	7:6	10	0	1	4	2:8	1
16	მიდლსბრო		2:1		0:4			2:1						0:1						1:0		11	3	2	6	9:16	11	3	0	2	5:7	9	0	2	4	4:9	2
17	უოტფორდი	1:2					0:0			3:3	0:0					1:1	2:0					11	1	6	4	9:13	9	1	4	1	7:6	7	0	2	3	2:7	2
18	შეფილდი		0:2						1:1				1:2	0:0			2:1					11	2	3	6	5:14	9	1	2	2	4:6	5	1	1	4	1:8	4
19	ნიუკასლი			1:2				1:1		1:2		2:1							0:1		0:0	11	2	2	7	7:14	8	1	2	3	5:7	5	1	0	4	2:7	3
20	ჩარლტონი	0:3		2:0	0:1	1:2									1:0			0:0				11	2	2	7	7:15	8	2	1	3	4:6	7	0	1	4	3:9	1

საჭიროა კაცი ცუდ დროს

ბექემი ბლექბერნმაც ისურვა

იანვარი ახლოვდება და თავიდან იხსნება სატრანსფერო სეზონი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველ დევიდ ბექემს სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა მიეცემა — ბექზის შეძენა „ბლექბერნის“ მწვრთნელს მარკ ჰიუზს სურს.

რაც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ იტალიელი მწვრთნელი ფაბიო კაპელო მივიდა, ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს „რეალის“ ძირითადში ადგილი გარანტირებული აღარ აქვს და ესპანური კონტრაქტის ვადაც სკამზე მიუდის. არადა, ბუნებრივია, ამხელა გამოცდილებისა და ოსტატობის კაცის სკამზე ჯდომა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უხერხულია და ამიტომაც გამწკრივდა საიანვროდ მისი გადაბირების მსურველთა რიგი. პირველი ამ რიგში ამერიკული კლუბი „ლოს ანჯელეს გალაქსი“ ჩადგა, მეორე, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, „ნიუკასლ იუნაიტედია“, აი, მესამე კი „ბლექბერნი“ ჩანს. სხვათაშორის, თუ დაგავიწყდათ შეგახსენებთ, რომ „ბლექბერნის“ მწვრთნელ ჰიუზსა და ბექზს „მანჩესტერ იუნაიტედში“ ერთადაც უგორებიათ ბურთი.

შესაძლოა, ფაბიო კაპელო და დევიდ ბექემი ერთმანეთს იანვარში დაშორდნენ

„დევიდ ბექემი საგანგებო ნიჭის ფეხბურთელია და ეს ნიჭი არსად დაუკარგავს — განმარტავს ჰიუზი, თუ რატომ აპირებს, სავარაუდოდ, კარგა ძვირ ვაჭრობაში მონაწილეობას — თუ „რეალი“ მის გაყიდვას ნამდვილად გადაწყვეტს და ღიად დაიწყებს ვაჭრობას, მაშინ ნახავთ, რამდენი მსურველი ჩადგება მართლაც გრძელზე გრძელ რიგში. მაგრამ, მანამდე მოდით, ასე ვთქვათ, როდესაც კაცი გონებაში შენს საოცნებო გუნდს დახატავ, ცხადია, მისი ერთ-ერთი ფეხბურთელი ბექემიც იქნება. ერთი სიტყვით, დევიდ ბექემის შეძენა გვინდა, თუმცა რამდენად შევძლებთ კონკურენტების დამარცხებას და მის გადმობირებას, ეს სხვა ამბავია. ბექემის „სივი“ ისეთია, რომ, ალბათ, უმდიდრესი კლუბები გამოიჩენენ ინიციატივას, ჩვენ კი სატრანსფეროდ გამოყოფილი თანხის კარგა დიდი ნაწილი უკვე დახარჯული გვაქვს“.

მეორე მხრივ, „ბლექბერნს“ ცნობილ ფეხბურთელთა ყიდვა სჩვევია. მაგალითად, 1992 წელს ამ კლუბმა ალან შირერი შეიძინა, 18 თვის წინ კი კრეიგ ბელამი.

„ხალხს ავიწყდება, რომ ჩვენ ადრე სახელმოხვეჭილი ფეხბურთელებიც გვიყიდია, ხოლო კრეიგ ბელამის რომ შევიძენდით, დიდი ხანი არ არის, რაც ბევრს არ სჯეროდა“.

და მაინც, ჰიუზი შიშობს, რომ ბექემი შეიძლება სწორედ ის კაცი იყოს, რომელიც მის გუნდს სჭირდება, ოღონდ ჰორიზონტზე ძალიან ცუდ დროს გამოჩენილი.

სკოლარიმ პორტუგალიას მუნდიალი შეაპარა

პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებაზე პრეტენზიას განაცხადებს და ამისთვის მზადებას აქედანვე შეუდგება.

„ეს პორტუგალიისთვის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ყველა ალმაცერად უყურებდა იმას, რომ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში უნდა ჩატარებულიყო, თუმცა მაშინ ამ ქვეყანამ ყველას დაუმტკიცა, რომ დიდი ტურნირების მასპინძლობა შეუძლია, თანაც მაღალ დონეზე“ — განაცხადა ბრაზილიელმა სპეციალისტმა.

„წესით, 2018 წელს მუნდიალი ევროპას უნდა დაუბრუნდეს და ვფიქრობ, ამისთვის ისევე უნდა დავიწყოთ მზადება, როგორც ინგლისი ემზადება. ძალიან კარგი იქნება, თუ მსოფლიოს ჩემპიონატს ვუმასპინძლებთ“ — თქვა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟილბერტო მადაილმა.

შეგახსენებთ, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი სამხრეთ აფრიკაში ჩატარდება. 2014 წელს სამხრეთამერიკული ქვეყნის ლტრია და ფავორიტად ბრაზილია ითვლება. 2018 წელს კი მუნდიალი ევროპას დაუბრუნდება. ცოტა ხნის წინ ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა რიჩარდ კებორნმა განაცხადა, საკითხი ინგლისი 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას მოიპოვებსო.

კოკი კანდელაკი

XI ტური

დღეს		
ფიორენტინა	:	ატალანტა
მილანი	:	რომა
ხვალ		
ასკოლი	:	ემპოლი
კატანია	:	ლივორნო
ლაციო	:	უდინეზე
მესინა	:	კალიარი
პალერმო	:	ტორინო
პარმა	:	ინტერი
სიენა	:	რეჯინა
სამპდორია	:	კიევო

პაპუნა კედია

იტალია

უცნაური მილანი და ტურინელები სიცილიაზე

კარლო ანჩელოტი სხვებთან ერთად ჯენარო გატუზოსაც მოისაკლისებს

მთავარი დღეს არის: „რომა“ „სან სიროზე“ გამოცდას აბარებს. რომაელებს აშკარად კარგი გუნდი ჰყავთ, ამბიციაც, იცოცხლე, არ აკლიათ, მერედა, ამ სეზონში „იუვენტუსი“ სერია B-შია, „მილანი“ კი ბოლო ტურებში თითქოს ვეღარ „მილანობს“, მაგრამ... ნათქვამია, აღდგომა და ხვალეო.

შეგახსენებთ, რომ მილანელები, რომელთაც ქართველი მცველი კახა კალაძე ტრავმის გამო ვერ დაეხმარება, ჩემპიონატის ბოლო ოთხი თამაშიდან სამში დამარცხებულები გამოვიდნენ და ამას მწვრთნელ კარლო ანჩელოტის გადადგომის მოთხოვნა თუ ამის შესახებ ჭორები მოჰყვა. ხმების პასუხად შავ-წითლების ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ პრესას განუცხადა: „ანჩელოტის ჩვენთან კონტრაქტი 2007-08 წლების სეზონის ბოლომდე აკავშირებს და სწორედ ამ ვადის ამოწურვამდე იქნება იგი „მილანში“. ეს ოფიციალური განცხადებაა და აქ საკამათო არაფერი გახლავთ“.

შეგახსენებთ იმასაც, რომ „მილანმა“ კალჩოპოლის სკანდალის გამო შეჯიბრება მინუს 8 ქულით დაიწყო და ერთად თავმოყრილი ყველა მიზეზის გამო ამჟამად 7 ქულით ბოლოდან მეხუთე ადგილზეა.

აი, „რომა“ კი მესამეზეა და, ბუნებრივია, ლიდერების წამოწევას თავი რომ დავანებოთ, „მილანთან“ სხვაობის კიდევ უფრო გაზრდაზე ოცნებობს, რაც ამ ტურში მის ხელშია, მით უფრო, რომ ანჩელოტის ექიმებმა შუა კვირაში მეტად უსიამოვნო ამბავი შეატყობინეს — ჯენარო გატუზოს ტრავმა მძიმე გამომდგარა და ენერგიული ნახევარმცველი ახალ წლამდე ვეღარ დაეხმარება გუნდს.

ასე და ამგვარად, დღეს „სან სიროზე“ საინტერესო მატჩია, ოღონდ მასში, წინასწარი ვარაუდით, მილანელები უცნაური შემადგენლობით ითამაშებენ, ვიხილავთ ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც გახლავან ბონერა, შიმინი, ფავალი და ბროკი.

ხოლო, სანამ „სან სირო“ შავ-წითლებს აქვთ დაკავებული, სერია A-ს შავ-ლურჯი ლიდერები ახლომდებარე ქალაქ პარმაში თამაშობენ. როგორც მიმომხილველები ამბობენ, „პარმას“, დიდი-დიდი ფრის იმედი უნდა ჰქონდეს, რითაც თვითონ ხომ ქულას შეიმატებს და გაუხარდება და, მეორე ადგილზე დამკვიდრებულ „პალერმოსაც“ გაახარებს. აი, „ინტერს“ კი კარგად მოეხსენება, რომ ფეხი არ უნდა დაუცდეს, თორემ ლიდერობა შეიძლება დაკარგოს — ჩასაფრებული „მგლები“ იტალიას არც „იუვენტუსის“ არყოფნაში აკლია.

„ინტერის“ დაცვის ცენტრში ივან კორდობას გამოჩენაა მოსალოდნელი, ის ვალტერ სამუელის ადგილს დაიკავებს. ნახევარდაცვის ოთხეულიც, ალბათ, წინა შეხვედრისგან განსხვავებული იქნება, რაც ამ სეზონში პირველად არ მოხდება: ლუიშ ფიგუ და სანტიაგო სოლარი პატრიკ ვიეირასა და ხავიერ ძანეტის შეუამხანაგდებიან და ოლივიე დაკურს სათადარიგოთა-სკამზე დატოვებენ.

„პალერმო“ კი, მართალია, თავის რეალურ ძალას „იუვენტუსთან“ ვერ ამოწმებს, მაგრამ ტურინელებს კი ეთამაშება — სიცილიაზე „ტორინო“ ჩადის. ცხადია, მასპინძელმა და სერია A-ს ერთ-ერთმა ლიდერმა წესით უნდა მოიგოს, მაგრამ საქმეში ნახედული ხალხი მაინც დიდ სიფრთხილეს ურჩევს, განსაკუთრებით კი რობერტო სტელონეს მიმართ.

პაპუნა კედია

ინტერი	10	7	3	0	22:12	24
პალერმო	10	8	0	2	23:15	24
რომა	10	6	2	2	17:7	20
ატალანტა	10	4	4	2	16:13	16
სიენა	10	4	5	1	12:9	16
ლივორნო	10	4	4	2	8:8	16
უდინეზე	10	3	4	3	10:7	13
მესინა	10	3	4	3	13:13	13
კატანია	10	3	4	3	13:15	13
ემპოლი	10	2	6	2	10:9	12
კალიარი	10	1	7	2	8:9	10
სამპდორია	10	2	4	4	14:16	10
ლაციო	10	3	3	4	10:10	9
ტორინო	10	1	5	4	6:13	8
პარმა	10	2	2	6	11:20	8
მილანი	10	4	3	3	10:10	7
ასკოლი	10	0	5	5	5:13	4
კიევო	10	0	3	7	7:14	3
ფიორენტინა	10	5	0	5	15:12	0
რეჯინა	10	3	3	4	11:15	-3

სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 15 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა

ვილიამ კიკეს სიტყვა და ბურთი აუგდო

„ვალენსიას“ დამრიგებელმა კიკე სანჩეს ფლორესმა გუნდის ვარჯიშიდან დავიდ ვილია გააძევა. ეს მაშინ მოხდა, როცა ფეხბურთელმა ვარჯიშის გაგრძელების ნაცვლად ბურთს ფეხი მძლავრად ამოსცხო და სადღაც ღრუბლებში გაგზავნა. ეს იყო და, მწვრთნელმა ვილიას სავარჯიშო მოედნის დატოვება უბრძანა და ასტურიელმაც წასვლის წინ იქვე, კართან ახლოს დაგდებულ ბურთს ფეხი ერთხელაც უთავაზა. ვილიასთან ერთად მოედანი მამამისმაც დატოვა. უფროსი ვილია ხუთშაბათს სტადიონზე შვილის სანახავად იყო მისული და დავიდის მწვრთნელთან უთანხმოების მომსწრე გახდა. „ღამურებმა“ კი ვარჯიში ინციდენტიდან ხუთ წუთში დაასრულეს.

მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის სინამდვილეში რა მოხდა, წესიერად ვერავინ გაიგო. „მარკას“ ჟურნალისტი ინციდენტის შესახებ ვარჯიშზე დამსწრე მცირერიცხოვან გულშემატკივრებს შეეკითხა და მათაც მიუგეს, კიკე ალბათ ვილიას გადამეტებულმა აგრესიულობამ გააბრაზაო. გუნდის ორმხრივი ვარჯიშის დრო დავიდი მეტოქეს ვეფხვივით მივარდებოდა ხოლმე და ერთ-ერთ თანაგუნდელს კინალამ სერიოზული ტრავმაც მიაყენა.

„ვილია, გეყოფა, ბრაზი ნამდვილი მოწინააღმდეგისთვის შემოინახე. ისე კი, ნამდვილ თამაშშიც თუ ასე თავდადებით იბურთავებ, ჩვენი მომგები ქვეყნად არავინ იქნება“ — უთქვამს კიკე ფლორესს თავისი შეგირდისთვის.

ხსენებული „გაბაასების“ შემდეგ, მწვრთნელმა ვარჯიშის შეწყვეტის განკარგულება გასცა, რათა თამაში მოედნის მეორე მხარეს გადაეტანათ. ბიჭებმა, როგორც წესი, კარები გადაადგილეს, ოღონდ ვილიას გარეშე — იმ დღეს რაღაცის გამო გაღიზიანებული მოთამაშე თანაგუნდელებს არ მიხმარებია. ორმხრივი ბურთაობა განახლდა და დავიდის ბურთთან პირველი შეხებაც ისე დამთავრდა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ. კიკემ ჩათვალა, რომ ფორვარდმა ეს წინასწარი განზრახვით გააკეთა და უბრძანა, მოედანი დაუყოვნებლივ დაეტოვებინა.

არც მწვრთნელს და არც ფეხბურთელს ვარჯიშის შემდეგ მედიასთან კონფლიქტის თაობაზე არაფერი უთქვამთ.

ლადო ხომერიკი

მილანი ბრაზილიურ პროცენტს ამცირებს

ოლივეირა და დიდა: სამშობლოსკენ!

რიკარდო ოლივეირა

მილანელი რიკარდო ოლივეირა იანვარში, შესაძლოა, მისსავე სამშობლოში, „სან პაულუში“ გაანათხოვრონ. ეს თავად ფეხბურთელის სურვილიც არის, რაკი უმძიმეს პერიოდში ოჯახთან ერთად უნდა ყოფნა.

შეგახსენებთ, რომ 4 ოქტომბერს ოლივეირას და შეიარაღებულმა ბანდიტებმა სახლიდან გაიტაცეს. ფეხბურთელის და დღემდე გამტაცებელთა ხელშია.

ეგებ ეს მიზეზიც იყოს, რომ ოლივეირამ „მილანში“ ეგრეც ვერ გაიბრწყინა. მართალია, სერია A-ს პირველ ტურში „ლაციოს“ გაუტანა, მაგრამ მის ათამაშებას დღემდე ელიან.

ისე, სანპაულუელებს ფეხბურთელის გამოსყიდვაც სურდათ, რასაც „მილანი“ არ დათანხმდა. იტალიელთა თქმით „ბეტისიდან“ 15 მილიონ გირვანქად ნაყიდი ფეხბურთელი „მილანს“ მომავალში კიდევ გამოადგება და ამდენად, მხოლოდ მისი იჯარით გაშვებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი.

ამასობაში, „მილანი“ შესაძლოა, კიდევ ერთმა ბრაზილიელმა დატოვოს — მეკარე ნელსონ დიდა „შავწითლებთან“ კონტრაქტის განახლებას კვლავაც არ ჩქარობს, რაც საფიქრებელს ხდის, რომ სეზონის ბოლოს, როცა მის ახლანდელ კონტრაქტს ყავლი გაუვა, კლუბს მუქთად დატოვებს. ოფიციალური ინფორმაციით კი, დიდამ კლუბს მიანიშნა, ფიქრებლად ნოემბრის ბოლოამდე სთხოვა ვადა.

ხოლო „სტუტოსპორტმა“ ივარაუდა, რომ დიდას გაისად „ლივორნოს“ მეკარე მარკო ამელია შეცვლის. ამელია მსოფლიოს ჩემპიონია.

და ერთი გაუხანგრძლივებელი კონტრაქტიც: ალესანდრო ნესტას 2008 წელს „ლაციოში“ დაბრუნებას უწინასწარმეტყველებენ.

კოტე კეკელია

XII ტური	
წუხელ	
ვერდერი	დორტმუნდი
(იხ. ჟე-2 გვ.)	
დღეს	
შალკე	მაინცი
ლევერკუზენი	ბაიერნი
ჰერტა	ბოხუმი
აინტრახტი	არმინია
ვოლფსბურგი	კოტბუსი
ჰამბურგი	გლადბახი
ხვალ	
ალემანია	ნიურნბერგი
ჰანოვერი	შტუტგარტი

ბუნდესლიგის პირველ 11 ტურში ოთხი მარცხი მიუნხენის „ბაიერნისთვის“ ნამდვილად შეუფერებელია. წინა ტურში აუტსაიდერ „ჰანოვერთან“ საშინაო წაგებამ ფელიქს მაგათის გუნდი ლიდერ „ვერდერს“ გვარიანად დააშორა, ქომაგებისგან კი სტვენა დაიმსახურა.

ფელიქს მაგათი: „ჰანოვერთან“ ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ ეს ტრავმებითაც იყო გამოწვეული. თანაც კლაუდიო პიზარო და როი მაკი გაციებულნი იყვნენ და ბოლო მომენტში გადავწყვიტეთ, რომ ისინი მინდორზე გაგვეყვანა. ნელ-ნელა ყველა დაგვიბრუნდება. იქამდე

გერმანია

დოლი ცეცხლზე

კი უნდა ვეცადოთ, ქულები აღარ დავკარგოთ“.

რამდენად მოახერხებს „ბაიერნი“, რომ ქულები აღარ დაკარგოს, ამას მალე ვნახავთ. დღეს მიუნხენელები „ლევერკუზენს“ სტუმრობენ და ადვილი გასეირნება რომ არ ელით, თავადაც ხვდებით. მგათს კვლავ არ ეყოლებიან ოუენ ჰარგრივსი, ლუკაშ პოდოლსკი და ლუსიო.

მესამეადგილოსანი „შალკე“ ბოლოზე მყოფ „მაინცს“ მასპინძლობს და, თქმაც არ უნდა, გამარჯვებას გეგმავს. გერმანულმა პრესამ ჭორები გაავრცელა, გელზენკირხენელები ვეტერან მეკარე ფრანკ როსტს აღარ ენდობიან და ამიერიდან გუნდის ძირითადი გოლკიპერი 20 წლის მანუელ ნოიერი იქნება, როსტი კი გაბრაზდა და წასვლას აპირებსო.

„ყველაფერი ეს პრესის მოგონილი სისულელეა. გუნდში არანაირი განხეთქილება არ არის და წასვლას არავინ აპირებს. როსტის იმედიც არ დაგვიკარგავს, უბრალოდ, ახლა ფრანკს ცოტა რთული პერიოდი უდგას“ — აღნიშნა გელზენკირხენელთა მწვრთნელმა მირკო სლომკამ.

„შალკეს“ კვლავ თავისი ბრაზილიელი ლიდერის ლინკოლნის გარეშე მოუწევს თამაში. კლუბმა მას ნება მისცა, სამშობლოში იმკურნალოს. ლინკოლნის მინდორზე დაბრუნებას ათი დღის მერე ელიან.

ცეცხლთან მოთამაშე „ჰამბურგის“ მწვრთნელ თომას დოლის მოხსნას დღე-დღეზე ელიან. ამიტომ ახალგაზრდა სპეციალისტს შინ „ფლადბახთან“ მოგება ჰერეოთ სჭირდება. ჰამბურგელებს ამ სეზონში ოდენ ერთი მოგება აქვთ. „ფლადბახი“ კი ბუნდესლიგაში ერთადერთია, ვისაც ჯერჯერობით ფრეების ვრფაში ნული უწერია.

გამოსარჩევი კიდევ ორი მატჩია: წინა ტურში სენსაციის ავტორი „ჰანოვერი“ ბრწყინვალე ფორმაში მყოფ „შტუტგარტს“ მასპინძლობს, ხოლო ლიდერთა მარაქაში გარეული ბერლინის „ჰერტა“ აუტსაიდერ „ბოხუმს“ დაუხვდება.

კოკი კანდელაკი

ფრანკ როსტი და მანუელ ნოიერი

№		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	თ	მ	ფ	წ	ბ	ჯ	მ	ფ	წ	ბ	ჯ	მ	ფ	წ	ბ	ჯ
1	ვერდერი		2:3			3:1				2:1		1:1			3:0					11	7	2	2	30:13	23	3	1	1	11:6	10	4	1	1	19:7	13
2	შტუტგარტი			3:0				1:1		3:0	1:3		0:3				2:0			11	6	3	2	23:16	21	3	1	2	10:7	10	3	2	0	13:9	11
3	შალკე	2:0				2:2		1:1	2:0							2:1				11	6	2	3	15:13	20	3	2	0	9:4	11	3	0	3	6:9	9
4	ჰერტა		2:2	2:0									2:1		2:1	4:0				11	4	5	2	18:14	17	4	1	0	12:4	13	0	4	2	6:10	4
5	ბაიერნი				4:2			2:0			2:0		0:0	2:1		0:1				11	5	2	4	16:13	17	4	1	1	10:4	13	1	1	3	6:9	4
6	არმინია		2:3		2:2	2:1						3:1		5:1					1:0	11	4	4	3	19:14	16	4	1	1	15:8	13	0	3	2	4:6	3
7	აინტრახტი								0:0	3:1			2:2		1:0		2:2			11	3	7	1	13:11	16	2	3	0	8:5	9	1	4	1	5:6	7
8	ვოლფსბურგი		1:1		0:0	1:0										1:2	1:0			11	4	4	3	9:10	16	2	2	1	4:3	8	2	2	2	5:7	8
9	ლევერკუზენი			3:1					1:1					3:0			1:2		1:1	11	4	3	4	17:15	15	2	2	1	9:5	8	2	1	3	8:10	7
10	დორტმუნდი						1:1							0:0		2:2	1:0	1:1	1:1	11	3	6	2	13:12	15	1	5	0	6:5	8	2	1	2	7:7	7
11	კოტბუსი				2:0			0:1			2:3		1:1				2:2		2:0	11	4	3	4	14:14	15	2	2	2	9:7	8	2	1	2	5:7	7
12	ნიურნბერგი	1:2					1:1				1:1				1:0			1:1	1:1	11	2	7	2	13:11	13	1	4	1	6:6	7	1	3	1	7:5	6
13	ალემანია		2:4	0:1								1:2			4:2			2:1		11	4	1	6	17:21	13	2	0	3	9:10	6	2	1	3	8:11	7
14	მიონხენგლადბახი	•		0:2			1:0		3:1	0:2	1:0	2:0								11	4	0	7	10:16	12	4	0	2	7:5	12	0	0	5	3:11	0
15	ჰანოვერი	2:4						1:1		1:1				0:3				0:2		11	2	4	5	10:20	10	0	2	3	4:11	2	2	2	2	6:9	8
16	ჰამბურგი	1:1		1:2	1:1		1:1									0:0				11	1	6	4	10:14	9	0	4	1	4:5	4	1	2	3	6:9	5
17	ბოხუმი	0:6				1:2	2:1		0:1	1:3		0:1								11	2	2	7	10:20	8	1	0	5	4:14	3	1	2	2	6:6	5
18	მაინცი	1:6			1:1			1:1	1:2					1:3				2:1		11	1	5	5	10:20	8	1	2	3	7:14	5	0	3	2	3:6	3

ერთგული ბაჭია ცოტა კომბოსტოზეც თანახმაა

ხავიერ სავიოლამ განაცხადა, რომ იანვარში „ბარსელონას“ დატოვებას არ აპირებს. „ბაჭიას“ სხვა კლუბებიდან შემოთავაზებები არ მიუღია და თანაც „კამპ ნოუდან“ წასვლის სურვილიც ნაკლებად აქვს.

„ბედს არ ვუწივი, „ბარსელონა“ ძალიან ძომწონს და სათამაშო წუთების ნაკლებობაც არ მაწუხებს. მომავალში რა მოხდება, ვერ გეტყვით, დღეს კი ჩემი მიზანი გუნდში დარჩენაა“ — თქვა არგენტინელმა ჟურნალისტებთან.

სავიოლას ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში არ უთამაშია, თუმცა, მისი აზრით, ეს „ბარსელონადან“ წასასვლელად საკმარისი მიზეზი არ გახლავთ.

„ლიგაზე ფიქრით თავს არ ვიღლი. მთავარია, როცა მწვრთნელს დავჭირდები, ფორმაში ვიყო, პრიმერადივიზიონი იქნება ეს, ჩემპიონთა ლიგა თუ კოპა დელ რეი“ — ამბობს პატაგონიელი.

თავდამსხმელმა თავის სამომავლო გეგმებზეც ილაპარაკა, თუმცა მედიასთან მიზნები სრულად არ გაუმჟღავნებია. „ბაჭიას“ კატალონიურ გრანდთან კონტრაქტი 30 ივნისს უმთავრდება და მიუხედავად იმისა, რომ გაზეთები სავიოლასთან ახალი ბარსელონური ხელშეკრულების გაფორმებას ეჭვის თვალით უყურებენ, ხავიერი მაინც იმედიანად აცხადებს: „კამპ ნოუზე“ დარჩენას არ გამოვრიცხავ. დიდი ფეხბურთი ჭირვეულია, სატრანსფერო სამყაროში მოვლენები სწრაფად იცვლება, მაგრამ მთავარია, რომ „ბარსაში“ ყოფნით კმაყოფილი ვარ. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, აქედან არც არასოდეს წავიდოდი“.

„ბაჭია“ კატალონიის მთავარგუნდში ბურთაობით კმაყოფილია, თუმც მწვრთნელისგან სათამაშო წუთების გარანტია არ მიუღია: „მოედანზე ტყუილუბრალოდ არავინ მიშვებს, ფრანკ რაიკარდმა იცის, რომ თავდაუზოგავად ვვარჯიშობ და მატჩების დროს თავის გამოჩენის საშუალებას მაძლევს. მშვენიერ ფორმაში ვარ და 90 წუთი ბურთაობაც შემიძლია“.

ოკეანისგაღმელმა კოპა დელ რეის ამასწინანდელ მატჩში ტრავმა მიიღო და ესპანეთის ჩემპიონატის შეხვედრაში „სარაგოსასთან“ შეიძლება მოედანზე გასვლა ვერ მოახერხოს, თუმცა სავიოლას დროულად გამოჯანმრთელების იმედი აქვს: „კარგი იქნება, თუ ტრავმა ადრე მომირჩება. „სარაგოსაში“ ჩემი ძველი მეგობრები — ანდრეს დალესანდრო და პაბლო აიმარი თამაშობენ. ჩვენ „რივერ პლეიტში“ ერთად ვიყავით და მინდა, მათთან, როგორც მეტოქეებთან, ძალა მოვსინჯო“.

ლადო ხომერიკი

კიევის „დინამოს“ ახალგაზრდა მეკარე ალექსანდრ რიბკა გეხსომებათ. იგი ჩემპიონთა ლიგაში მადრიდის „რეალთან“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართული მატჩის მეორე ტაიმში ტრავმირებული ალექსანდრ შოვკოვსკის ნაცვლად ჩადგა კარში და მალევე სერხიო რამოსმა მკლავი ისე ჩაარტყა, რომ ნიჭიერმა გოლკიპერმა გონება დაკარგა. მიუხედავად ამისა, რიბკამ მატჩი ბოლომდე ვაუკაცურად ჩაამთავრა და რამდენჯერმე იხსნა კიდეც გუნდი, უკრაინაში დაბრუნებისას კი ჯერ აეროპორტში, მერე თვითმფრინავში ორჯერ ცუდად გახდა და ჰოსპიტალში მოთავსეს. მას მსუბუქი ტვინის შერყევა ჰქონდა და მოგვიანებით განაცხადა, რამოსთან შეჯახების მერე როგორ ვთამაშობდი, აღარც მახსოვსო.

ახლა რიბკა ისევ შარში გაეხვია და კვლავ ტვინის შერყევა აქვს — უსიამოვნო ინციდენტი „დინამო

თევზმა ხმა ამოიღო

საწყალ რიბკას ყველა ურტყამს

2“-სა და ცსკა-ს შორის უკრაინის პირველი ლიგის მატჩში მოხდა. შეხვედრის 58-ე წუთზე რიბკამ თავისი საჯარიმო მოედანი დატოვა და არმიელ მატეუკთან ორთაბრძოლას არ შეუშინდა. მეტოქე მასზე დაუნდობლად, გაშლილი ფეხით წავიდა და ბუცი სახეში მოარტყა. ახალგაზრდა მეკარემ ნერვები ვეღარ მოთოკა და წაქცეულ მატეუკს რამდენჯერმე წიხლი ჩაარტყა, რის გამოც წითელი ბარათი მიიღო. ამას ცსკა-ს მწვრთნელის იური მაქსიმოვის განრისხება მოჰყვა, რომელიც მინდორზე გავარდა და რიბკას რამდენჯერმე ხელი გაარტყა. არბიტრმა არმიელთა თავკაცსაც წითელი უჩვენა და საბოლოოდ, რის კი-ეგზლახით განიმუხტა დაძაბულობა.

კიეველთა მეკარეს მინდორზევე დაადეს სახეზე რამდენიმე ნაკერი და სასწრაფოდ საავადმყოფოში გაიქანეს. მას კვლავ ტვინის შერყევა აქვს და ექიმები ჯერ ზუსტად ვერ ამბობენ, რამდენ ხანს მოუწევს მკურნალობა. ბუნებრივია, რიბკასაც და მაქსიმოვსაც საკმაოდ ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ელით.

გიორგი კაკაბაძე

X ტური

დღეს

ატლეტიკი	:	ვილიარეალი
ვალენსია	:	ბილბაო

ხვალ

სოსიედადი	:	ესპანიოლი
ბეტისი	:	ლევანტე
ხეტაფე	:	ჟალიორკა
ბარსელონა	:	სარაგოსა
ხიმნასტიკი	:	დეპორტივო
სელტა	:	უელვა
ოსასუნა	:	რეალი
რასინგი	:	სევილია

კოპა დელ რეიზე ჩატარებული მატჩების შემდეგ ესპანური გუნდები კვლავ საპრიმერო ბრძოლებს მიუბრუნდნენ. ხვალ „ბარსელონა“ „კამპ ნოუზე“ „სარაგოსას“ უმასპინძლებს. კატალონიელები არაგონელებს სავარაუდოდ, ხავისა და სავიოლას გარეშე დაუხვდებიან. ორივე ეს ფეხბურთელი „ბადალონასთან“ სათასო შეხვედრაში დაშავდა. ხავიმ მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო, არგენტინელს კი მარჯვენა მუხლი აწუხებს.

სამაგიეროდ, „ბარსამ“ ეიდურ გუდიონსენი დაიბრუნა. ისლანდიელს „ჩელსისთან“ სალიგო მატჩში მიღებული ტრავმა აწუხებდა, თუმცა „გუდიმ“ მუხლი უკვე მოირჩინა და კვირას ბურთაობას მოახერხებს.

ესპანეთი

კოპები კოპასგან

ასევე ჯანმრთელადაა „სარაგოსას“ პაბლო აიმარიც. მედიის ცნობით, არგენტინელმა თამაშისწინა ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა და გუნდის მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესიც პაბლიტოს ძირითადში გაამწესებს. დაშავებული ალბერტო საპატერის ბურთაობა კი ნაკლებად მოსალოდნელია.

„სევილია“ „რასინგს“ სანტანდერში, იქაურ „ელ სარდინიეროზე“ ჩააკითხავს. პრიმერადივიზიონის ლიდერს თამაში ხესუს ნავასის გარეშე მოუწევს. მას მძიმე ტრავმა აქვს და ბურთს სულ მცირე, 7 კვირით გამოეთხოვება. სევილიური ინჩადა ამის გამო ძალიან შეშფოთებულია.

მადრიდის „რეალი“ ნავარაში „ოსასუნასთან“ საომრად მშვენიერ ხასიათზე ჩადის. სამეფო გუნდმა თასზე დაბალლიგელი „ესიხა“ შეჭამა და თითქმის ყველა ძირითადი ფეხბურთელი დასვენებული ჰყავს — „ესიხასთან“ თასის საპასუხო შეხვედრაში კასილიასს, კანავაროს, ელგერას, გუტის, ემერსონსა და რაულს არ უთამაშიათ.

თასზე „ვალენსიამაც“ მოიგო, თუმცა მარიო რეგეირო დაკარგა. ურუგვაელი „პორტუენსეს“ მეკარე მელის შეასკდა და მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. რეგეირო დღეს სავარაუდოდ, „ბილბაოსთან“ შეხვედრაში არ იქნება.

„ატლეტიკოს“ იურკას სეიტარიდისი თავს შშვენივრად გრძნობს. ბერძენმა ფეხბურთელმა ტრავმა მოირჩინა და შაბათს „ვილიარეალთან“ თამაშს მოახერხებს. თუმცა „ათლეტთა“ გუნდი მაინც ლაზარეთად რჩება — მიგელ ანხელ მისტა, პაბლო იბანიესი, მიგელ დე ლას კუევასი, მაქსი როდრიგესი და მარტინ პეტროვი — მთელი ეს „დაჭრილ-დაჩეხილი“ არმადა გუნდს ვერაფრით ეხმარება.

„ბეტისის“ ფორვარდი ხისკო კოპა დელ რეიზე „უელვასთან“ თამაშში დაშავდა. ხისკოს ექიმებმა ორკვირიანი შესვენება გამოუწერეს და, ცხადია, იგი ვერც „ლევანტესთან“ ითამაშებს.

„სოსიედადი“ „ესპანიოლს“ დაუხვდება. ორივე გუნდი მეტოქეებმა კოპა დელ რეიდან გამოთიშეს და მათი მთავარი საზრუნავი ახლა მხოლოდ პრიმერადივიზიონია. „სოსიედადს“ ტრავმირებული დარკო კოვაჩევიჩი არ ეყოლება, რომელსაც „ანოეტა“ ხეზე დიას დე სერიო შეცვლის.

პაბლო აიმარი

ლადო ხომერიკი

№		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	თ	მ	ფ	წ	ბ	ძ	მ	ფ	წ	ბ	ძ	მ	ფ	წ	ბ	ძ
1	სევილია						1:0							4:0			2:0		3:2	2:1		9	7	0	2	19:10	21	5	0	0	12:3	15	2	0	2	7:7	6
2	ბარსელონა	3:1				1:1							3:0				3:0					9	6	2	1	20:8	20	3	1	0	10:2	10	3	1	1	10:6	10
3	სარაგოსა						3:1				2:0			2:2		3:0			2:1			9	6	1	2	20:11	19	4	1	0	12:4	13	2	0	2	8:7	6
4	რეალი		2:0						0:0	1:1		1:2									2:0	9	5	2	2	14:6	17	2	2	1	6:3	8	3	0	1	8:3	9
5	ვალენსია						2:0										1:0		2:1	4:0		9	5	2	2	14:7	17	4	0	0	9:1	12	1	2	2	5:6	5
6	ხეტაფე				1:0			2:0							1:0			0:0				9	5	1	3	9:7	16	3	1	0	4:0	10	2	0	3	5:7	6
7	დეპორტივო		1:1	3:2					2:0	1:0											2:0	9	4	3	2	10:8	15	4	1	0	9:3	13	0	2	2	1:5	2
8	ვილიარეალი			3:2									0:1	1:1		0:0			3:2			9	4	3	2	10:9	15	2	2	1	7:6	8	2	1	1	3:3	7
9	ატლეტიკო	2:1		0:1		0:1							2:1									9	4	2	3	10:7	14	2	0	2	4:4	6	2	2	1	6:3	8
10	მალიორკა							0:0	1:2	0:0						1:0					0:0	9	3	4	2	5:5	13	1	3	1	2:2	6	2	1	1	3:3	7
11	სელტა	1:2	2:3			3:2											0:2					9	4	1	4	13:14	13	1	0	3	6:9	3	3	1	1	7:5	10
12	უელვა						1:2				1:1			0:1					2:0	2:1		9	4	1	4	11:12	13	2	1	2	6:5	7	2	0	2	5:7	6
13	ლევანტე				1:4			2:0			0:1					0:0					2:0	9	3	3	3	9:12	12	2	1	2	5:5	7	1	2	1	4:7	5
14	რასინგი		0:3			1:0				0:1		1:1										9	2	4	3	7:10	10	1	1	2	2:5	4	1	3	1	5:5	6
15	ესპანიოლი					1:1						2:1			2:2		0:0			0:1		9	1	5	3	5:9	8	1	3	1	5:5	6	0	2	2	0:4	2
16	ოსასუნა)						0:2								0:1			1:1		2:0		9	2	2	5	5:10	8	1	1	2	3:4	4	1	1	3	2:6	4
17	ბილბაო		1:3							1:4		0:1			0:0						1:1	9	1	4	4	7:15	7	0	2	3	3:9	2	1	2	1	4:6	5
18	ბეტისი				0:1			1:1			0:1							3:0				9	1	1	7	10:15	4	1	1	2	4:3	4	0	0	5	6:12	0
19	ხიმნასტიკი				1:3							1:2			2:2			2:3				9	1	1	7	9:20	4	0	1	3	6:10	1	1	0	4	3:10	3
20	სოსიედადი	1:3		1:3					0:1				2:3									9	0	2	7	5:17	2	0	0	4	4:10	0	0	2	3	1:7	2

სარბიელი ᲓᲐ კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		11 ნოემბერი						
16:45	1	სიტი-ნიუკასლი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
19:00	2	მიდლსბრო-ვესტ ჰემი	2.10	3.20	3.35	1.26	1.29	1.63
19:00	3	პორტსმუთი-ფულჰემი	1.85	3.20	4.10	1.17	1.27	1.79
19:00	4	პორტსმუთი-ფულჰემი 0:1	3.20	3.40	1.85			
21:15	5	ბლეკბერნი-მანჩესტერი	6.00	3.40	1.60	2.17	1.26	1.08
21:15	6	ბლეკბერნი-მანჩესტერი 1:0	2.40	3.40	2.35			
19:00	7	ედერტონი-ასტონ ვილა	1.95	3.20	3.90	1.21	1.29	1.75
19:00	8	შეფილდი-ბოლტონი	2.90	3.20	2.30	1.52	1.28	1.33
19:00	10	ჩელსი-უოტფორდი	1.14	6.50	16.00	1.00	1.06	4.62
19:00	11	ჩელსი-უოტფორდი 0:1	1.45	4.00	5.20			
19:00	12	უიგანი-ჩარლტონი	1.85	3.30	4.10	1.18	1.27	1.82
		12 ნოემბერი						
17:30	13	[illegible]	3.00	3.20	2.25	1.54	1.28	1.32
20:00	14	[illegible]	1.95	3.30	3.70	1.22	1.27	1.74
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		11 ნოემბერი						
19:00	15	ლიდსი-კოლჩესტერი	2.15	2.90	3.20	1.23	1.28	1.52
19:00	16	ლუტონი-ქჩრ	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
19:00	17	კრისტალ პალასი-სტოკი	2.15	3.10	3.00	1.26	1.25	1.52
19:00	18	ქარდიფი-ბარნლი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
19:00	19	ჭოკენორი-დერბი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
19:00	20	ჰალი-ულვერჰემპტონი	2.40	3.10	2.75	1.35	1.28	1.45
19:00	21	სანდერლენდი-საუთჰემპტონი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
19:00	22	ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
19:00	23	ბირმინგემი-ბარნსლი	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31
19:00	24	იფსვიჩი-უენსდი	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64
19:00	25	ლესტერი-ბლეიკბერნი	2.10	3.10	3.20	1.25	1.26	1.57
19:00	26	საუთენდი-პრესტონი	3.10	3.10	2.10	1.54	1.25	1.25
		ინგლისი. კონფერენსი						
		11 ნოემბერი						
19:00	732	კემბრიჯი-გრეიტსენდი	2.55	3.20	2.50	1.41	1.26	1.40
19:00	733	ფორეტუ გრინი-სტალბანსი	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		11 ნოემბერი						
19:00	28	დანდი იუნაიტედი-კილმარნოკი	2.75	3.10	2.40	1.45	1.28	1.35
19:00	29	ჰიბერნიანი-ინვერნესი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
19:00	32	რეინჯერსი-დანფერმლაინი	1.20	5.20	12.00	1.00	1.09	3.62
19:00	33	რეინჯერსი-დანფერმლაინი 0:1	1.60	3.80	3.85			
19:00	34	აბერდინი-მოზერუელი	1.75	3.30	4.40	1.14	1.25	1.88
		12 ნოემბერი						
18:00	35	სტ.მირენი-სელტიკი	8.50	4.30	1.30	2.85	1.12	1.00
18:00	36	სტ.მირენი-სელტიკი 1:0	3.30	3.70	1.75			
		13 ნოემბერი						
23:45	30	ფალკირკი-პართი	3.90	3.30	1.85	1.78	1.25	1.18
23:45	31	ფალკირკი-პართი 1:0	1.75	3.50	3.40			
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		11 ნოემბერი						
19:00	37	გრეგნა-ქუინი	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62
19:00	38	ჰიბერნიანი-ერდრი	1.50	3.60	5.80	1.05	1.19	2.22
19:00	39	ლივინგსტონი-დანდი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		11 ნოემბერი						
19:00	40	ეარი-ალაია	1.65	3.50	4.30	1.12	1.19	1.92
19:00	41	ბრეჩინი-რეიზი	1.85	3.40	3.50	1.19	1.21	1.72
19:00	42	კოვენანტი-ფორფარი	1.55	3.70	5.00	1.09	1.18	2.12
19:00	43	სტირლინგი-მორტონი	2.55	3.20	2.40	1.41	1.23	1.37
19:00	44	სტრანრაერი-პეტერჰედი	2.30	3.30	2.65	1.35	1.23	1.46
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		11 ნოემბერი						
19:00	45	ბერიკი-სტ ფაიფი	2.65	3.40	2.25	1.48	1.21	1.35
19:00	46	მონტროზი-ქუინს პარკი	2.45	3.30	2.45	1.40	1.22	1.40
19:00	47	სტენჰაუსმური-დუმბარტონი	2.20	3.30	2.75	1.32	1.22	1.50
19:00	48	არბროუთი-სტ სტირლინგი	1.35	4.30	7.00	1.02	1.13	2.66
19:00	49	ელგინი-ალბიონი	2.25	3.30	2.70	1.33	1.22	1.48
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		11 ნოემბერი						
18:30	64	აინტრახტი-არმინია	2.00	3.20	3.55	1.23	1.27	1.68
18:30	65	შალკე-მაინცი	1.40	4.10	7.50	1.04	1.17	2.65
18:30	734	ჰამბურგი-მიუნხენგლადბახი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
18:30	735	ჰერთა-ბოსუმი	1.50	3.80	6.20	1.07	1.20	2.35
18:30	736	ლეგერეხენი-ბაიერნი	3.20	3.20	2.15	1.60	1.28	1.28
18:30	737	ვოლფსბურგი-კოტბუსი	1.90	3.20	3.90	1.19	1.27	1.75
		12 ნოემბერი						
20:00	738	ალემანია-ნიურნბერგი	2.45	3.20	2.70	1.38	1.28	1.46
20:00	739	ბაიერი-შტუტგარტი	3.00	3.20	2.25	1.54	1.28	1.32
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		12 ნოემბერი						
17:00	78	უნტერჰაჩინგი-ეიხენი	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
17:00	79	ბურგჰაუზენი-ოფენბახი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
17:00	80	ფრაიბურგი-კიელნი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
17:00	81	აუე-ქარლ ცაისი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
17:00	82	დეგენბერგი-აუგსბურგი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
		13 ნოემბერი						
23:15	83	ფიურთი-კაიზერსლაუტერნი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)						
		11 ნოემბერი						
17:00	92	დიუსელდორფი-სტ.პაული	2.10	3.30	2.90	1.28	1.21	1.54
17:00	93	ოსნაბრიუკი-ალმბურგი(ქ)	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
17:00	94	ალენი-კილი	1.90	3.30	3.40	1.20	1.21	1.67
17:00	95	დინამო-ლაიფციგი(ქ)	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
17:00	96	ლიუბეკი-ვერდერი(ბ)	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
17:00	97	მაგდებურგი-ფოლფსბურგი	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
17:00	98	ერფურტი-ემდენი	1.80	3.30	3.75	1.16	1.21	1.75
17:00	99	ვუპერტალი-ფს ბერლინი	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
		12 ნოემბერი						
17:00	100	დორტმუნდი(ქ)-ჰერთა(ბ)	2.10	3.30	2.90	1.28	1.21	1.54
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)						
		11 ნოემბერი						
17:30	111	ბაიერნი(ქ)-მიუნხენი1860(ქ)	1.90	3.30	3.40	1.20	1.21	1.67
17:30	112	ელვერსბერგი-პირმასენსი	1.80	3.30	3.75	1.16	1.21	1.75
17:30	113	ჰესენი-ვეენი	2.80	3.30	2.15	1.51	1.21	1.30
17:30	114	ინგოლშტადი-დარმშტადი	1.75	3.40	3.85	1.15	1.20	1.80
17:30	115	კარლსრუე(ქ)-ზიდენი	2.30	3.20	2.65	1.33	1.23	1.44
17:30	116	ჰოფენჰაიმი-კიკერსი	1.60	3.50	4.70	1.09	1.19	2.00
17:30	117	კაიზერსლაუტერნი(ქ)-საარბრიუკენი	3.10	3.30	2.00	1.59	1.21	1.23
		12 ნოემბერი						
17:30	118	შტუტგარტი(ქ)-ფულდენდორფი	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		11 ნოემბერი						
21:30	124	ალტაჰი-ზალცბურგი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
21:30	125	რაპიდი-პაშინგი	2.15	3.10	3.00	1.26	1.25	1.52
21:30	127	რიდი-აუსტრია	2.25	3.10	2.90	1.30	1.26	1.49
21:30	128	შტურმი-გრაცერი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
		12 ნოემბერი						
18:30	129	ტიროლი-ჰალეზერი	3.70	3.30	1.85	1.74	1.23	1.18
		იტალია. სერია A						
		11 ნოემბერი						
21:00	139	ფიორენტინა-იტალანტა	1.65	3.30	5.30	1.10	1.25	2.03
21:00	140	ფიორენტინა-იტალანტა 0:1	2.60	3.30	2.20			
23:30	141	მილანი-რომა	1.90	3.10	3.50	1.17	1.23	1.61
		12 ნოემბერი						
18:00	142	ლაციო-უდინეზე	2.40	2.90	3.00	1.31	1.33	1.47
18:00	144	ასკოლი-ემპოლი	2.50	2.80	3.00	1.32	1.36	1.44
18:00	145	კატანია-ლეჩეერნი	2.40	2.80	3.10	1.29	1.35	1.47
18:00	146	მესინა-კალიარი	2.05	2.90	3.80	1.20	1.33	1.64
18:00	147	პალერმო-ტორინო	1.45	3.70	7.50	1.04	1.21	2.47
18:00	148	სამპდორია-ბოლონია	1.80	2.90	5.10	1.11	1.33	1.84
18:00	149	სიენა-ბეზენა	2.00	2.90	3.80	1.18	1.31	1.64
23:30	150	პარმა-ინტერი	6.00	3.60	1.55	2.24	1.23	1.08
23:30	151	პარმა-ინტერი 1:0	2.25	3.30	2.50			
		იტალია. სერია B						
		11 ნოემბერი						
19:00	152	ალბინოლეფფე-ვენეცია	3.00	2.80	2.40	1.44	1.33	1.29
19:00	153	ბოლონია-არეზო	1.45	3.50	8.00	1.02	1.22	2.43
19:00	155	ბრესა-მანტოვა	2.05	2.70	3.90	1.16	1.34	1.59
19:00	156	ჩეზენა-ფრეზინონე	1.75	2.90	5.10	1.09	1.30	1.84
19:00	157	კრიტონე-მილანი	2.40	2.70	3.00	1.27	1.33	1.42
19:00	158	იუვენტუსი-პესკარა	1.07	7.20	20.00	1.00	1.01	5.29
19:00	159	პიაჩენცა-ლეჩე	2.00	2.90	3.70	1.18	1.29	1.62
19:00	161	სპეზია-ვიტენსა	2.10	2.70	3.70	1.18	1.33	1.56
19:00	162	ვერონა-ტრიესტინა	2.40	2.70	3.00	1.27	1.33	1.42
		13 ნოემბერი						
23:45	160	ბარი-ნაპოლი	2.50	2.70	2.90	1.29	1.34	1.39
		იტალია. სერია C1/A						
		11 ნოემბერი						
17:30	171	პრო სესტო-პიზა	2.45	2.50	3.25	1.23	1.39	1.41
		12 ნოემბერი						
17:30	163	პრო პატრია-პავია	1.80	2.70	5.10	1.08	1.33	1.76
17:30	164	სასუოლო-მანტუა	1.70	2.80	6.00	1.05	1.32	1.90
17:30	165	კრემონეზე-ვიჩენცა	2.80	2.60	2.60	1.34	1.34	1.29
17:30	166	გრეტერეო-პიხიტელინე	1.75	2.70	5.30	1.06	1.31	1.78
17:30	167	ლუკეზე-მონცა	2.40	2.60	3.20	1.24	1.37	1.43
17:30	168	ნოვარა-სან�eზე	1.95	2.60	4.20	1.11	1.33	1.60
17:30	169	ფიტიდელა-ოვრეა	1.75	2.70	5.50	1.06	1.32	1.81
17:30	170	პისტოიეზე-პადოვა	2.50	2.50	3.10	1.25	1.38	1.38
		იტალია. სერია C1/B						
		12 ნოემბერი						
17:30	172	ულიანოვა-აფელინო	5.30	3.20	1.55	1.99	1.19	1.04
17:30	173	მარეზინა-ანკონა	2.35	2.60	3.20	1.23	1.35	1.43
17:30	174	სან მარინო-სტაბია	2.25	2.60	3.50	1.20	1.36	1.49
17:30	175	ჰერეჯა-ტარანტო	2.05	2.60	3.90	1.14	1.34	1.55
17:30	176	რაფენა-ნაფოლი	1.80	2.70	4.80	1.08	1.30	1.72
17:30	177	სალერნიტანა-ფოგია	2.40	2.50	3.10	1.22	1.35	1.38
17:30	178	ფოლიჰოლი-ტერამო	2.00	2.60	4.00	1.13	1.33	1.57
17:30	179	მანფრედონია-ლანჩანო	2.00	2.60	4.00	1.13	1.33	1.57
		13 ნოემბერი						
23:45	180	სამბენედეტეზე-ტერნანა	1.85	2.80	4.20	1.11	1.28	1.67
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		11 ნოემბერი						
23:00	184	ატლეტიკო-ვალიადოლიდი	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	186	ვალენსია-ბილბაო	1.43	3.90	7.00	1.04	1.18	2.50
		12 ნოემბერი						
23:45	181	ბარსელონა-სარაგოსა	1.45	4.00	6.50	1.06	1.18	2.47
23:45	182	ბარსელონა-სარაგოსა 0:1	2.25	3.40	2.50			
20:00	183	სელტა-უელვა	1.85	3.30	4.10	1.18	1.27	1.82
20:00	185	ბეტისი-ლეგანეს	2.05	3.20	3.55	1.24	1.29	1.68
20:00	187	ხეტაფე-მალიორკა	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
20:00	188	ტარაგონა-დეპორტივო	3.00	3.20	2.30	1.54	1.30	1.33
22:00	189	ოსასუნა-რეალი	4.70	3.40	1.70	1.97	1.24	1.13
22:00	190	ოსასუნა-რეალი 1:0	2.05	3.30	2.80			
20:00	191	რასინგი-სევილია	3.50	3.10	2.05	1.64	1.29	1.23
20:00	192	სოსიედადი-ესპანიოლი	2.35	3.00	3.00	1.31	1.31	1.50
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		11 ნოემბერი						
21:30	193	კადისი-ლას პალმასი	1.80	3.10	4.30	1.13	1.26	1.80
21:30	195	ელჩე-სალამანკა	2.85	2.90	2.40	1.43	1.30	1.31
21:00	196	ჰერკულესი-ნუმანსია	2.25	2.90	3.10	1.26	1.30	1.49
21:30	198	მურსია-ესტიდო	1.70	3.20	4.55	1.11	1.23	1.87
21:00	202	რეალი(ბ)-ლორკა	2.35	2.90	2.95	1.29	1.30	1.46
		12 ნოემბერი						
20:00	194	კასტელონი-სპორტინგი	2.30	2.90	3.00	1.28	1.30	1.47
15:00	197	ალაკენტი-ალბასეტე	2.05	2.90	3.50	1.20	1.29	1.58
20:30	199	ტენერიფე-სეგესი	2.45	2.90	2.75	1.32	1.29	1.41
21:00	200	ალმერია-სიუდადი	2.20	2.90	3.20	1.25	1.30	1.52
20:00	201	მალაგა -ჰიხონრადინა	1.75	3.20	4.60	1.13	1.26	1.88
20:30	203	ვეკინდარიო-ვალიადოლიდი	3.10	3.00	2.25	1.52	1.30	1.28
